ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 29 იანვარი, 2018

№23 (7568)

ფასი: 50 თეთრი

## ჯემალ გამახარია: „რუსეთი აფხაზეთის აღიარებას უკან წაიღებს“

გვ.4



26 იანვრიდან

რომან გვენცაძე

საბედისწერო გასროლა

ქართული დეტექტივი ტომი 4

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# „საპრეზიდენტო კანდიდატად ივანიშვილი „ქართული ოცნებისთვის“ საუკეთესო ვარიანტია“



რამაზ საყვარელიძე: „ძლიერი კანდიდატის გარეშე ხელისუფლება საპრეზიდენტო არჩევნებს წააგებს“

გვ.4



## მამუკა გამყრელიძე: „ქვეყანა იღუპება, ჩვენ კი ქაოსისკენ მივდივართ“

გვ.2



„ივანიშვილმა რომ გადაწყვიტოს პრეზიდენტობა, ულაპარაკოდ მოიგებს. სამწუხაროდ, მას არ ეყოლება კონკურენტი და, სამწუხაროდ, მას მაინც აქვს საზოგადოების მხარდაჭერა“



## ვინ უშლის სუსსა და პროკურატურას ხელს აგენტების გამოვლენაში?

ზაალ კასრელიშვილი: „ძალოვანი უწყებების წინააღმდეგ საბოტაჟი ხორციელდება“

გვ.3



### სამართალი

გვ.7




დაღუპული 22 წლის გოგონა და 5 წლის შემდეგ დაპატიმრებული ექიმი — რა მოხდა ქუთაისში



ბექა რუსიას ოჯახის ადვოკატი: „ეს მასალაც საკმარისია, რომ გამოძიებამ რეაგირება მოახდინოს“

ქორწილის შემდეგ დატრიალებული ტრაგედია — ვინ არიან რიკოთის გვირაბთან ავარიაში დაღუპული ადამიანები



### ეკონომიკა

გვ.5–6

როგორ აპირებს ბიზნესომბუდსმენი მთავრობისა და ბიზნესის მორიგებას



მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ბაზრიდან გადიან





სურსათის ეროვნული სააგენტო ზამთრის კურორტებზე შემოწმებას განაგრძობს

სავაჭრო ობიექტების ნაწილში თამბაქოზე ფასი 10 თეთრით გაიზარდა

ISSN 1987-9385

8 ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ბრძოლებმა შესაძლოა კავკასიაშიც გადმოინაცვლოს?

4 ბანგლადეშის მოქალაქეები საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის დროს დააკავეს

6 სვანეთი, გურია, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი — ადგილები, სადაც ოქროს დიდი მარაგი არსებობს

7 თბილისში ტრანსგენდერ მირანდა ფაღავას სასტიკად სცემეს

# მამუკა გამყრელიძე: „ქვეყანა იაფდება, ჩვენ კი ქაოსისკენ მივდივართ“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში შექმნილ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებზე „ახალ თაობას“ მამუკა გამყრელიძე ესაუბრება.

***– ბატონო მამუკა, ბოლო პერიოდში აქტიურად გვესმის შეფასებები, რომ ქვეყანა ქაოსისკენ მიდის. დამძიმებულია როგორც კრიმინოგენური, ისე სოციალურ-ეკონომიკური ფონი. რას იტყვით თქვენ? უჭირს ხელისუფლებას სწორი გადაწყვეტილებების მიღება თუ რა პროცესებთან გვაქვს საქმე?***

– გარდა იმისა, რომ სერიოზული არაპროფესიონალიზმია, სხვა რა უნდა ვთქვა?! არ არსებობს სურვილი იმისა, რომ ქვეყანამ წინსვლა დაიწყოს. კი ამბობენ, რომ ყველაფერი კეთდება, რეალობაში, წინსვლა არ არის. ამას ორი მიზეზი აქვს: ერთია გარკვეული კადრების არაპროფესიონალიზმი, რომლებიც შეკრებილი არიან და მეორე მთავარი მიზეზი მაინც არაფორმალური მმართველობაა. მე ვესაუბრე რამდენიმე ადამიანს, რომლებიც იყვნენ დავოსში და ძალიან დამწუხრებული იყვნენ ქართული დელეგაციის აბსოლუტური პასიურობით.

***– ეს რით იყო განპირობებული?***

– ალბათ ორი რამით: ერთი მხრივ, ის, რომ დამოუკიდებლად ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ იღებენ და მეორე ის, რომ შეკვეთაა, როგორც ჩანს, ასეთი, იყოს პასიურობა, არ შემოვიდეს ქვეყანაში დიდი რაოდენობით ინვესტიციები, არ იყოს ქვეყანა სადღაც პირველ ხაზებსა და გაზეთების პირველ გვერდებზე.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ინვესტიციების ძირითადი მასა გააკეთოს ბიძინა ივანიშვილმა, ანუ გაიაფდეს ქვეყანა და ყველაფერი, რაც კი ღირებულია, იაფად ჩაიგდოს ხელში. როდესაც არ არის ბევრი ინვესტიცია, ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა იაფდება.

***– ანუ თამასა არ აიწევს?***

– რა თქმა უნდა! ქართულ დელეგაციას თურმე არც პრეზენტაცია გაუკეთებია. თუმცა მაინც მოუწყვეს მათ ეს პრეზენტაცია, სადაც პრემიერი კვირიკაშვილი ერთი საათის დაგვიანებით მივიდა და შემდეგ არც სიტყვით გამოვიდა. საგარეო საქმეთა მინისტრს საერთოდ არც ელაპარაკებიან, არც ცნობენ. ძალიან არასაინტერესო ხდება ქართული დელეგაცია.

***– და ეს არის ივანიშვილის დაკვეთა?***

– რა თქმა უნდა! არ გვახსოვს, მისი პირველი ვიზიტისას დავოსში რა განაცხადა? არ დაიჯეროთ, რომ საქართველოში რამე ხდება, ეს ყველაფერი სააკაშვილის მოგონილი იყოო. ადამიანებს რომ ვესაუბრები, რომლებიც არც „ოცნების“ მომხრე არიან და არც ნაციონალების, ამბობენ, რომ მაინც ეს სიტუაცია ჯობია, რადგან ადამიანის უფლებები არ ირღვევა. მართალია, კრიმინალმაც იმატა, მაგრამ ამასაც არა უშავსო. რაღაცნაირად შეეგუა საზოგადოება ამ პროცესს.

მე ძალიან კარგად მახსოვს 90-იანების ბოლო, მიწევდა ხოლმე თბილისში ჩამოსვლა მოკლე პერიოდით და საშინელი სიტუაცია იყო – სიბნელე, ჭუჭყი, სიღატაკე და ამ უმძიმეს მდგომარეობასაც კი იტანდა ხალხი, იყვნენ მშვიდად, ხმას არ იღებდნენ. რომ არ ყოფილიყო მართლა სააკაშვილის ჰიპერაქტიური მოქმედებები, არც არაფერი შეიცვლებოდა.

***– ისევ იქით მივდივართ, 90-იანებისკენ?***

– ქაოსისკენ მივდივართ. ალბათ ანტურაჟი შეიცვლება. სინათლე იქნება, წყალიც გვექნება ალბათ, პირობები იქნება ცოტა უკეთესი, მაგრამ ეს მოთხოვნა, რომ ქაოსი იყოს, როგორც ჩანს, მოდის არაფორმალისაგან, ივანიშვილისაგან, რადგან მას ეადვილება ასეთ პირობებში ქვეყნის ხელმძღვანელობა.



გადაწყვეტილების მიმღები პირი არ არის ქვეყანაში. მე მომიხდა სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობა და იმ დროს ძალიან გაადვილებული იყო გადაწყვეტილებების მიღება. კარტბლანში გვქონდა ყველა პოზიციის მქონე ადამიანებს, გადაწყვეტილების მიღების უფლება გვქონდა და მეორე, პრემიერ-მინისტრი იქნებოდა ეს თუ პრეზიდენტი, გვქონდა პირადად დაკავშირების საშუალება. მე არასოდეს გამჭირვებია პირველ პირთან ურთიერთობა. მაშინ განწყობა იყო ასეთი, თქვენ ოღონდ საქმე გააკეთეთ და გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებითო. დღეს ეს არ ხდება. გადაწყვეტილებებს ვერავინ იღებს, იმიტომ, რომ უნდა იყოს ქაოსი!

***– ხალხსაც მოსწონს ეს სიტუაცია და არ აპროტესტებს?***

– ეს ხალხი ყველაფერს ეგუება. ბინები შენდება, ყიდულობენ, მშვენიერი მანქანებით დადიან, ბენზინი ძვირდება და მაინც დადიან. ნათლისღებას მიწვეული ვიყავი წვეულებაზე და დიღმის ტრასაზე მანქანის გასაჩერებელი ადგილი ვერ ვნახე. სავსეა რესტორნები. სამჯერ დავარტყი წრე დიღმის ტრასას, რომ სადღაც მოშორებით ჩამეკვეხებინა ავტომობილი.

***– ეს რას ნიშნავს, რომ ხალხს არ უჭირს?***

– ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხს ფული აქვს, თუმცა, აქვე დავამატოთ, ეს ის ხალხია, რომელიც ბიუჯეტთან ახლოს არის. ამ წრეში კეთდება ფული. დანარჩენი საზოგადოება უკიდურეს გაჭირვებაშია და ეს გაჭირვება უფრო და უფრო იმატებს. ალბათ ცოტასაც გაუძლებენ. ჩემი აზრით, 2020 წელს გადასცდება ამის გაძლება და ატანა. მერე? მერე არ ვიცი, რა იქნება!

***– 2020 წლამდე საპრეზიდენტო არჩევნებია. ძალიან ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ ვინ იქნება „ოცნების“ კანდიდატი და რა შანსი ექნება მას. რას იტყვით თქვენ?***

– როგორც ჩანს, ტესტირება მიდის „ოცნების“ მხრიდან, მეორე-მესამე დონის პირებს ათქმევინეს, რომ კარგია, თუ ეს იქნება ივანიშვილი. ივანიშვილმა რომ გადაწყვიტოს პრეზიდენტობა, ულაპარაკოდ მოიგებს. სამწუხაროდ, მას არ ეყოლება კონკურენტი და, სამწუხაროდ, მას მაინც აქვს საზოგადოების მხარდაჭერა.

***– რატომ შემოაგდეს ეს თემა, მართლა სერიოზულად ფიქრობს ამაზე ივანიშვილი?***

– არაფერია გამორიცხული. წარმოიდგინეთ, ივანიშვილმა რომ გაიმარჯვოს, 6 წლით იქნება პრეზიდენტი. შემდეგ 2024 წელს ახალი პარლამენტი დაამტკიცებს ახალი კონსტიტუციით. ამ არაფორმალურ მმართველს სამუდამოდ ავირჩევთ, დაჯდება პრეზიდენტის სავარძელში და იქნება გადასარევად. ველარც იმას იტყვიან, არაფორმალური მმართველიაო.

***– ამბობენ, რომ მას არაფორმალური მმართველობა ურჩევნია ზედმეტ თავისტკივილს.***

– რატომაა თავისტკივილი? პრეზიდენტს რა საქმე აქვს? ხანდახან რაღაცას თუ წამოიკნავლებს ხოლმე ჩვენი პლასტელინა და ვეტოს გამოგვიცხობს. ის ამ ვეტოსაც აღარ დაადებს და იქნებიან გუგულებივით.

***– ანუ არ არის რეალობას მოკლებული და შესაძლოა ივანიშვილი ვიხილოთ პრეზიდენტად?***

– არ გამოვრიცხავ, შესაძლებელია, ასეც მოხდეს. მეორე ამბავია, რას იზამს ოპოზიცია. ვფიქრობ, ოპოზიციისთვის ეს იქნება ერთგვარი გამაღიზიანებელი ფაქტორი და ისინი ალბათ გაერთიანდებიან, ხოლო იმ გაერთიანებაში იქნებიან თუ არა ნაციონალები, ევროპული საქართველო, კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.

ერთი მხრივ, ნაციონალებს უყვართ დამოუკიდებლად თამაში, თუმცა დღეს ამის ფუფუნება აღარ აქვთ. ევროპული საქართველო კი, მიუხედავად მისი პოზისა, რომ მკვეთრი ოპოზიციის როლს თამაშობს, ხელისუფლებასთან მჭიდრო კავშირშია. პატრიოტთა ალიანსზე აღარც ვლაპარაკობ. ისინი სატელიტები არიან. რა მოხდება ამ გაერთიანებით, ეგ უკვე ცალკე საკითხია. თუ აქეთ მხარეს იქნება ივანიშვილი, ის სუფთად მოუგებს ოპოზიციას და ერთიანად ჩარეცხავს, ცუდი არ იქნება.

***– კარგი რა იქნება ამაში?***

– ამან შეიძლება დაანგრიოს პოლიტიკური სივრცე საქართველოში 2030 წლამდე, მაგრამ ეს მოგვცემს საშუალებას, სრულიად ახალი ყლორტები წამოვიდეს და უფრო პრაგმატული პოლიტიკოსები და ჯანსაღად მოაზროვნე თაობა მოვიდეს. მოქალაქეთა კავშირის დროიდან წამოსული ერა რომ მთავრდება, ფაქტია. ასევე „ქართული ოცნებაც“ საკმაოდ მყიფე ორგანიზაციაა და ისიც მალე დაიშლება, თუ მოწინააღმდეგე არ ეყოლება. მას დღეს ერთგვარი მაშველი რგოლივით ჰყავს ნაციონალური მოძრაობა. თუ არ იქნება ნაციონალური მოძრაობა, „ქართული ოცნებაც“ ძალიან სწრაფად დაიშლება.

# საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ე.წ. საბაჟო პუნქტების გახსნას გმობს

საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, კერძოდ, ახალგორში რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ ე.წ. საბაჟო პუნქტის გახსნას, ხოლო სოხუმში რუსეთის ფედერალური საბაჟო სამსახურის ე.წ. სპეციალიზებული საბაჟო პოსტის შექმნას, რაც მიზნად ისახავს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების რუსეთის ერთიან საბაჟო სივრცეში ინტეგრირებას და წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მხრიდან აღნიშნული რეგიონების ფაქტობრივი ანექსიისკენ გადადგმულ მორიგ უკანონო ნაბიჯს. ამის შესახებ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

უწყების ინფორმაციით, ახალგორში ე.წ. საბაჟო პუნქტის გახსნასთან ერთად, ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში აიკრძალა დანარჩენი საქართველოდან ხორცისა და რძის პროდუქტების შეტანა, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ადგილობრივი მოსახლეობის ისედაც მძიმე ჰუმანიტარულ მდგომარეობას, ზღუდავს მათი თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობებს და უხეშად ლახავს მათ ფუნდამენტურ უფლებებს.

– საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის, ე.წ. გადასასვლელი პუნქტების დახურვისა და თავისუფალი გადაადგილების შესაზღუდად სხვადასხვა დისკრიმინაციული რეგულაციების შემოღების ფონზე, ე.წ. საბაჟო პუნქტების გახსნა წარმოადგენს მოსკოვის პოლიტიკის ნაწილს – ინტეგრაციის შესახებ ე.წ. ხელშეკრულებების იმპლემენტაციითა და დანარჩენი საქართველოსგან იზოლაციით, მოახდინოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების რუსეთის სივრცეში, მათ შორის, საბაჟო-ეკონომიკურ სისტემაში გაერთიანება.



ნიშანდობლივია, რომ მსგავსი დესტრუქციული ქმედებებით რუსეთის ფედერაცია მიზანმიმართულად ცდილობს, ხელი შეუშალოს საქართველოსა და საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისა და საოკუპაციო ხაზით გაყოფილ მოსახლეობას შორის ჩართულობის მიმართულებით, – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციული ქმედებები, შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, მოახდინოს საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაცია და გადადგას ნაბიჯები კონფლიქტის საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვით, მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო შეფასება მისცეს რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას და ქმედითი ზომები მიიღოს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიების ფაქტობრივი ანექსიისაკენ გადადგმული ნაბიჯების წინააღმდეგ.

**ინტერპრესნიუსი**

# ზურაბ აბაშიძე: „პრაღაში მუსიკასა და პოეზიაზე სასაუბროდ არ მივდივართ“

– პრაღაში მუსიკასა და პოეზიაზე, სასიამოვნო, სალონური საუბრისთვის არ მივდივართ, ეს ფორმატი შექმნილია, რათა დავიცვათ ჩვენი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები, – ასე ეხმაურება რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე გრიგორი კარასინთან ჩანიშნულ შეხვედრას.

31 იანვარს პრაღის მორიგ მოლაპარაკებებზე ზურაბ აბაშიძე რამდენიმე საკითხის დაყენებას გეგმავს, მათ შორის არის საბაჟო მონიტორინგის შესახებ შეთანხმება, რომელიც საბაჟო კორიდორების ნეიტრალური მონიტორების მიერ გაკონტროლებას გულისხმობს და რომელზეც ხელი რუსეთს ჯერ არ მოუწერია.

ზურაბ აბაშიძე მიიჩნევს, რომ კარასინის საგაზეთო ინტერვიუში ამ შეთანხმების განსხვავებული გააზრება იკითხება, სწორედ ამიტომ ქართული მხარე შეხვედრაზე პოზიციების დაზუსტებას შეეცდება.

– შევაჯამებთ, რა იყო გასულ წელს, იწყება ახალი წელი და პერსპექტივაში შევეცდებით გავაანალიზოთ, რა შეიძლება გაკეთდეს, რას შეიძლება შევუწყოთ ხელი ამ თვალსაზრისით და რა პრობლემების მოგვარება შეგვიძლია ჩვენ იმ არაფორმალური დიალოგის ფარგლებში.



გარდა ამისა, არის ერთი კონკრეტული საკითხი. მოგეხსენებათ 2011 წლის საბაჟო მონიტორინგისა და ადმინისტრირების თაობაზე შეთანხმების შესაბამისად, ქართულმა მხარემ გასული წლის დეკემბერში შვეიცარიულ კომპანიასთან გააფორმა კონტრაქტი, ახლა რუსეთის ჯერია, რუსეთმაც უნდა გააფორმოს ანალოგიური კონტრაქტი შვეიცარულ კომპანიასთან, ამის შემდეგ უნდა დაიწყოს ამ პროექტის იმპლემენტაცია. სამწუხაროდ, ბატონი კარასინის ინტერვიუში ამოვიკითხეთ ამ შეთანხმების ისეთი ინტერპრეტაცია, როგორიც პრინციპულად ეწინააღმდეგება 2011 წლის შეთანხმების დებულებებსა და არსს, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ამ პროექტის განხორციელებას, ასე რომ ჩვენ ამ თემაზე გვექნება საუბარი და შევეცდებით, დავაზუსტოთ პოზიციები, – აღნიშნა „მოამბესთან“ ზურაბ აბაშიძემ.

**პირველი რადიო**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 2-94-02-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 2–94-06-91
**ვებ-გვერდი** www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვინ უშლის სუსსა და პროკურატურას ხელს აგენტების გამოვლენაში?

შორენა მარსაგიშვილი



## ზაალ კასრელიშვილი: „ძალოვანი უწყებების წინააღმდეგ საბოტაჟი ხორციელდება“



„სასწრაფოდ უნდა მოხდეს პოლიტიკიდან აგენტების ჩამოშორება“

რატომ უნდა მივიღოთ კანონი ლუსტრაციის შესახებ, ვინ უწყობს შსს-ს, თავდაცვის სამინისტროსა და სუსს საბოტაჟს, რატომ გახდა აუცილებელი პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნება? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

***– თქვენ გასული წლიდან დაიწყეთ საუბარი იმის თაობაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში უნდა დაბრუნდეს. „ქართული ოცნების“ რამდენიმე ცნობადი სახე ამბობს, რომ ყოფილი პრემიერი მათი საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა იყოს. თქვენი აზრით, ამ ფორმით ხომ არ მოხდება ივანიშვილის პოლიტიკაში შემობრუნება?***

– „ქართულ ოცნებაში“ ბევრი დაჯგუფებაა და მათ სხვადასხვა მიზნისთვის უნდათ პოლიტიკაში ივანიშვილის დაბრუნება. ჩვენი აზრით, არსებობს რამდენიმე მიზეზი, რატომაც უნდა დაბრუნდეს ყოფილი პრემიერი პოლიტიკაში. 2012 წლის გამარჯვება მის გარშემო გამოიჭედა. მანამდე ვერცერთმა ლიდერმა ვერ შეძლო ოპოზიციის გაერთიანება.

ახლა პოზიციისა და ოპოზიციის გაერთიანებაა საჭირო არა რომელიმე ძალის დასამარცხებლად, არამედ იმ გამოწვევებთან გასამკლავებლად, რაც დღეს ქვეყნის წინაშე დგას. ხალხის დარაზმვა და პოზიცია-ოპოზიციის გაერთიანება თუ ვინმეს შეუძლია, ეს არის ბიძინა ივანიშვილი.

წარმატება იქნება თუ წარუმატებლობა, მაინც ყველაფერი ამ კაცს ჰბრალდება და ჯობია, ოფიციალურად იყოს ხელისუფლებაში. თუ ის პოლიტიკაში დაბრუნდება, პასუხისმგებლობას გადაუნაწილებს როგორც თავისი გუნდის წევრებს, ასევე ოპოზიციას.

ახლა ხალხის დარაზმვა და პოზიცია-ოპოზიციის გაერთიანება ისეთი აუცილებელია, როგორც არასდროს. მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, საქართველოს ფასი ასჯერ გაიზარდა, შესაბამისად, გაიზარდა გამოწვევებიც.

***– გამოწვევები ახსენეთ და კრიმინოგენურ ვითარებაზე რას ფიქრობთ? ერთი მხედრიონიღა გვაკლია და იგივე იქნება, რაც გასული საუკუნის 90-იან წლებში იყო.***

– 1989 წლიდან დღემდე საქართველოში შემთხვევით არაფერი აღარ ხდება, მით უმეტეს, თუ საქმე პოლიტიკას ეხება. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ჩვენ პირველები ვიყავით, ვინც საბოტაჟზე დაიწყო საუბარი. ჩვენ არ გვითქვამს, რომ საბოტაჟს მაინცდამაინც ნაციონალები მიმართავდნენ. ახლაც ასე ვფიქრობთ.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ უკიდურესად დამძიმებული კრიმინოგენური ვითარება გარე ძალების მიერ მოწყობილი საბოტაჟის დამსახურებაა?***

– რა თქმა უნდა, გარე ძალების დამსახურებაა. გარე ძალები ვერაფერს გახდებოდნენ, შიგნით რომ არ ჰყავდეთ დასაყრდენი. ის, რაც დღეს შსს-ს, სუსისა და თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ ხდება, ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ არის მიმართული. ვიღაცას რომელიმე კონკრეტული ძალის დასუსტება არ სურს. ვიღაცა სახელმწიფოს ჩამოშლას ცდილობს.

***– ამბობთ, რაც ძალოვანი უწყებების წინააღმდეგ ხდება, ქვეყნის წინააღმდეგ არის მიმართულიო და რას გულისხმობთ, ოპოზიციის განცხადებებს? არ უნდა დავსვათ კითხვები ამ უწყებების მიმართ?***

– ამ შემთხვევაში ოპოზიციის განცხადებებს არ ვგულისხმობ. მოდით, იმაზეც შევთანხმდეთ, რომ დღეს ბევრად მეტი დემოკრატიაა, ვიდრე სააკაშვილის ან ედუარდ შევარდნაძის დროს იყო.

***– შევარდნაძის დროს სიტყვის თავისუფლებას არავინ უჩიოდა.***

– როგორ არ უჩიოდნენ? ნამდვილ ოპოზიციას არავინ ახარებდა. ახლა ბევრად უფრო მეტი დემოკრატიაა.

***– ახლა გახარებულია ნამდვილი ოპოზიცია? ლაღად თავს მხოლოდ ორი პარტია – ნაციონალური მოძრაობა და მისი გამონაყოფი „ევროპული საქართველო“ გრძნობენ. მაგათ თვლით ნამდვილ ოპოზიციად?***

– როგორ შეიძლება, მე ეგ პარტიები ოპოზიციად ჩავთვალო, მაგრამ იმას კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ბევრად მეტი დემოკრატიაა. და რადგან დემოკრატიაა ქვეყანაში, ოპოზიციაც ლაპარაკობს და აუცილებლად უნდა ილაპარაკოს. ბოლო პერიოდში ძალიან აქტიურად საუბრობენ ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციაზე.

ხელისუფლების მიმართ კითხვები უნდა დაისვას, მაგრამ ისე, რომ ქვეყანა არ დააზარალო. ოპონენტის სიძულვილის გამო არ უნდა ცდილობდე სიტუაციის არევას. თქვენ ჯანსაღად მიგაჩნიათ ის აქტიურობა, რომელიც პანკისში ჩატარებული სპეცოპერაციის გარშემოა? სად იყო ის ხალხი, რომელიც ახლა აქტიურობს, 6 წლის წინ? რაღაც არ მახსოვს, მათ ლაფანყურის სპეცოპერაციაზე ელაპარაკათ.

***– მაშინ ლაფანყურზე მეოცნებეები საუბრობდნენ ბევრს და იმასაც კი ამტკიცებდნენ, რომ ქართველი სპეცრაზმელები და ექიმი ხელისუფლებამ დახოცა. არც ეს იყო სახელმწიფოებრივი მიდგომა. თქვენც აღიარებთ, რომ მაშინ ქართული მხარე მართალი იყო.***

– ხელისუფლების მიმართ შეიძლება ბევრი კითხვა იყოს, მაგრამ ისინი ისე უნდა დასვა, რომ სახელმწიფო არ დააზიანო. დღევანდელ საქართველოში მორალზე ლაპარაკი ძალიან ცუდ ტონად ითვლება, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ პოლიტიკაში მყოფი ადამიანებიდან მხოლოდ რამდენიმეს აქვს სხვისი გაკრიტიკების მორალური უფლება. სუსის, შსს-სა და თავდაცვის სამინისტროს ლანძღვით ქვეყნის იმიჯი ილახება.

***– რას გვთავაზობთ, არ შევიმჩნიოთ, ამ უწყებებში რაღაც რიგზე თუ ვერ არის?***

– მაგას როგორ ვიტყვი, უნდა შევიმჩნიოთ, უნდა ვაკრიტიკოთ კიდეც, მაგრამ რაღაც სხვა ფორმა უნდა მივცეთ ამას. სამართლიანი კრიტიკა სხვაა და მიზანმიმართული ლანძღვა – სხვა.

მესმის, რომ ხალხი შეწუხებულია მძიმე კრიმინოგენური ვითარებით და ამიტომ ლანძღავენ ძალოვნებს. საზღვარგარეთ ჩვენი სპეცსამსახურების მუშაობას დადებითად აფასებენ. ჩვენც უნდა დავინახოთ დადებითი.

***– ძალიან მინდა, დადებითი დავინახო, მაგრამ არ შევიმჩნიო, საქართველოში თავისუფლად რომ აპარპაშებენ ქართული სახელმწიფოს ღია მტრებს – იური ლუჟკოვსა და გროზნოს მერს? მათი შემოსვლის ამბავიც შემთხვევით გავიგეთ და, კაცმა არ იცის, კიდევ რამდენი მათნაირია აქ შემოსული.***

– ეს როგორ არ უნდა შევიმჩნიოთ? ეს არის ჩვენი შეურაცხყოფა. ჩვენი შეურაცხყოფაა ისიც, რუსი ოკუპანტები ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიებიდან ქართველებს რომ იტაცებენ. გიგა ოთხოზორია რომ მოკლეს, ეგეც ჩვენი სისუსტის ბრალია.

ლანძღვით უკეთესობა არ მოდის და მაგას სჯობია, რამე რჩევა მისცენ. იქნებ ამან რაღაც შედეგი გამოიღოს.

***– და თქვენ გგონიათ, რომ ხელისუფლება ვინმეს რჩევას გაითვალისწინებს?***

– არანაირი სურვილი არ მაქვს, „ქართული ოცნების“ ადვოკატი ვიყო. მათ, უბრალოდ, ვეტყვი იმას, რასაც შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებებს ვეუბნებოდით – გახსენით დიალოგი. ისე არ არის საქმე, რომ „ოცნებას“ ვინმესთან მისასვლელი პირი არ ჰქონდეს.

დიალოგის გახსნამდე კარგი იქნება, თუ ხელისუფლება მიზანს განსაზღვრავს. გვეუბნებიან, რომ ჩვენი მიზანი ევროატლანტიკურ ინტეგრაციაში გაწევრიანებაა, ჩვენ კი ვამბობთ, რომ ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანება არის საშუალება მიზნის მისაღწევად.

მიზანი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ჰქონდათ. მათ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს შეძლეს, ხალხისთვის განემარტათ მიზნის სისწორე. სწორედ ამიტომ შეიკრა მათ გარშემო ერთ მუშტად ხალხი. რა გგონიათ, მაშინ ზვიადსა და მერაბს საქართველოში პიროვნული მტრები არ ჰყავდათ? პირველი მათ ინტელიგენცია დაეტაკა. ამის მიუხედავად, მათ შეძლეს და მასებთან დიალოგი გახსნეს.

ჩვენს პოლიტიკაში ძალიან ბევრია ისეთი ადამიანი, რომლებიც ყველა ხელისუფლების კალთაში მსხდარან. თუ გავითვალისწინებთ, რომ 90-იან წლებში მათ ქვეყანა და ხალხი გაყვლიფეს, ქონებისა და ძალაუფლების შესანარჩუნებლად ხელისუფლებასთან ახლოს ყოფნა სჭირდებათ. ამიტომაც უწვებიან და უწვებიან ყველას.

საქართველოს ფასი დღევანდელ მსოფლიოში 100-ჯერ არის გაზრდილი. ყველა პროცესი ჩვენ სასარგებლოდ მიდის. რა დროს საბოტაჟი და ლანძღვა-გინებაა, კეთილი ვინებოთ და საერთო მიზნისთვის გავერთიანდეთ. უახლოესი 15 წელი სრული კარტბლანში გვაქვს იმისთვის, რომ საკუთარი თამაში ვითამაშოთ.

***– რამდენჯერმე ახსენეთ საბოტაჟი. რამე დამატებითი ინფორმაცია გაქვთ ამის შესახებ?***

– რაღაც ინფორმაციები როგორ არა მაქვს, მაგრამ ამ ინფორმაციების გარეშეც აშკარაა, რომ საბოტაჟს აქვს ადგილი. გარკვეული ძალები საბოტაჟს მხოლოდ ძალოვნებს არ უწყობენ. საბოტაჟნიკები თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში სხედან.

***– რით გამოიხატება ეს საბოტაჟი?***

– ამ ძალებს სახელმწიფო უწყებებიდან ინფორმაციების გამოტანა აქვთ დავალებული. ისინი ვალდებულნი არიან, მათ პატრონებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდონ სახელმწიფო სტრუქტურებში მიმდინარე პროცესების შესახებ.

***– ეს პატრონები ვინ არიან?***

– საუბარია ვიღაც-ვიღაცებზე, რომლებიც ქვეყნის გარეთ სხედან.

***– თავში კი თქვით, სუსის მიმართ ასე კრიტიკულად არ უნდა ვიყოთ განწყობილიო, მაგრამ რას აკეთებს ეს უწყება, რატომ არ ჩამოუვლის ამ საბოტაჟნიკებს ქორივით?***

– ვერ გეტყვით, რატომ არ ხდება ამ ხალხის გამოვლენა. შეიძლება გამოვლენილიც ჰყავთ უკვე, მაგრამ, არის რაღაცები, რაზეც ხმამაღლა არ შეიძლება საუბარი. ჩვენ არ ვიცით, რა ხდება სუსის შიგნით, მაგრამ, იმის თქმა კი შეგვიძლია, რაც ჩვენ გვგონია.

***– მაშინ ის გვითხარით, თქვენ რა გგონიათ.***

– გეტყვით. ჩვენი ვარაუდით, სუსსა და პროკურატურაში ძალიან ბევრ ადამიანზე საქმეები გამზადებულია.

***– ბევრ ადამიანში საბოტაჟნიკებს გულისხმობთ თუ ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც?***

– საბოტაჟნიკებსა და აგენტებზე მოგახსენებთ. ჩვენი ღრმა რწმენითა და ინფორმაციებითაც, მათზე საქმეებია გამზადებული. უბრალოდ, პოლიტიკური ნება არ არის, რომ მათი გამომზეურება მოხდეს.

***– ვინ უშლის სუსსა და პროკურატურას ხელს საბოტაჟნიკების გამოვლენაში?***

– ამაში ჩართული არიან როგორც შიდა, ასევე გარე ძალები. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ საბოტაჟნიკების ვინაობა არ გამჟღავნდეს.

მათი გამომჟღავნება არ იქნება იოლი. სანამ მათ გვარებს დაასახელებდნენ, ხელისუფლება ხალხს უნდა შეუთანხმდეს.

***– რაზე უნდა შეუთანხმდეს ხელისუფლება ხალხს?***

– მზად არიან თუ არა ისინი ამ ინფორმაციის მისაღებად.

***– ფიქრობთ, რომ საბოტაჟნიკებში ისეთი ხალხია, რომელთა გვარების გაჟღერება საზოგადოებას შოკში ჩააგდებს?***

– არაფერი გამორიცხული არ არის. ჩემი აზრით, ხელისუფლებამ არც საბოტაჟნიკების გვარები უნდა დაასახელოს და არც იმ ხალხის, რომლებიც უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ.

***– აბა, როგორ უნდა მოხდეს მათი გვერდზე გაწევა? იმედი გაქვთ, რომ მათ იმის გამბედაობა ეყოფათ, აგენტობა აღიარონ, როგორც ეს ცნობილმა გერმანელმა ფეხბურთელმა მათიას ზამერმა გააკეთა? მან გერმანულ მედიას განუცხადა, რომ შტაზის აგენტი იყო.***

– არა, მათგან ასეთ აღიარებას არ ველოდები, არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ ისინი აგენტობის გამო დისკომფორტს განიცდიან. ხელისუფლებამ ეს ხალხი პოლიტიკას უნდა ჩამოაშოროს. სხვანაირად ქვეყანა ვერ განვითარდება. სამწუხაროა, რომ ლუსტრაციის კანონის მიღება არ ხდება. დამატებით კითხვებს ეს ფაქტიც აჩენს. გამსახურდიას რომ დასცლოდა, აუცილებლად მიიღებდა ამ კანონს, მაგრამ ვინ აცალა – პრეზიდენტად არჩევიდან 7 თვეში დაამხეს.

ახლა, როგორც არასდროს, ისე სჭირდება ამ ქვეყანას ლუსტრაცია. მოღალატეები და აგენტები სერიოზულ პრობლემებს შექმნიან მიზნისკენ მიმავალ გზაზე. ისეთი შანსი, როგორიც ახლა გვაქვს, შეიძლება აღარ მოგვეცეს.

# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდამჭერი განცხადება

## რა შეფასებები კეთდება პარლამენტში

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი რუსეთის მხრიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ლიდერებთან გაფორმებულ სამხედრო ხელშეკრულებას გმობს, მოუწოდებს რუსეთს, გაიყვანოს თავისი ძალები საქართველოს რეგიონებიდან და უკან წაიღოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება.

აშშ-ის მხარდამჭერ რეზოლუციას შეფასებები მოჰყვა საკანონმდებლო ორგანოში.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე სოფო ქაცარავა აცხადებს, რომ აშშ თავისი განცხადებებში მტკიცე მხარდაჭერას აფიქსირებს:

– სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება, რომელიც რუსეთის ქმედებას გმობს, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციაში საქართველოსა და რეგიონში მიმდინარე პროცესებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მინდა ხაზი გაუსვა იმას, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მართლაც, პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა აშშ-ის ხელისუფლების მხრიდან ამ პრობლემის დარეგულირების თვალსაზრისით და ეს აისახა არაერთ რეზოლუციასა და ოფიციალურ დოკუმენტში. ზოგადად, მნიშვნელოვანია, მსგავსი განცხადებებისა და განცხადებების ფონზე ყოველთვის არის მყისიერი და მტკიცე პოზიცია ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან, – განაცხადა ქაცარავამ.

ნაციონალური მოძრაობის წევრი ნინო კალანდაძე აღნიშნავს, რომ დეოკუპაციის საკითხთან დაკავშირებით აშშ-ის მხრიდან სწრაფი მხარდაჭერა მნიშვნელოვანია.

– როდესაც საქმე ეხება ოკუპაციის საკითხს, ამერიკის შეერთებული შტატების მყისიერი მხარდაჭერა მნიშვნელოვანია. განცხადებაში საუბარია რუსეთის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების უხეშ დარღვევაზე.




იმის გათვალისწინებით, რომ მოსკოვი ცდილობს, აღიარების პოლიტიკას ლეგიტიმაცია შესძინოს და, ამავდროულად, ოკუპაციის ლეგიტიმაცია მოახდინოს თავისთავად, ამ ხელშეკრულებით, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა გმობდეს, – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

ნიუზპოსტი

# „საპრეზიდენტო კანდიდატად ივანიშვილი „ქართული ოცნებისთვის“ საუკეთესო ვარიანტია“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, საუბრობენ იმაზე, რომ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი შეიძლება ბიძინა ივანიშვილი გახდეს. რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს ვერსია?***

– ეს ვერსია მას მერე უფრო აქტუალური გახდა, რაც გიორგი კვირიკაშვილმა და დავით სერგეენკომ გადაჭრით უარყვეს თავიანთი შესაძლო კანდიდატობა. თუკი ვერსიად განვიხილავთ, მაშინ გეტყვით, რომ ქვეყნისთვის ძალიან კარგია. ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტი უნდა იყოს მორალური ავტორიტეტი და ნაკლებად პოლიტიკოსი, პოლიტიკური ძალის მატარებელი. მორალური, მე ვიტყოდი, ფსიქოლოგიური ავტორიტეტი ივანიშვილი ნამდვილად არის. მას ნამდვილად არ სჭირდება მართვის ბერკეტი, რომ ამა თუ იმ პროცესზე გავლენა მოახდინოს. ასეთი ფიგურის ყოფნა პრეზიდენტის სავარძელში უდავოდ საშურია ქვეყნისთვის.

ეს ერთი ნაწილი, მაგრამ უნდა კი მას დაბრუნება საჯარო სივრცეში?! ჩვენ ხომ ვიცით, რომ მან არ მოისურვა პოლიტიკური ტვირთის ტარება. ახლა, არა მგონია, ეს პოზიცია შეიცვალოს, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის ტვირთი გაცილებით მსუბუქია, ვიდრე სხვა ნებისმიერი აღმასრულებელი ხელისუფლისა.

***– შეიძლება მართლაც კანდიდატურის პრობლემა ჰქონდეს მმართველ პარტიას?***

– თუ მართლაც ყველა ამ კანდიდატმა, რომლებიც პრესაში გაჟღერდა, უარი თქვა ანუ მოწონებული არ იქნა, მაშინ „ქართულ ოცნებას“ მართლაც არ ჰყავს წონიანი, რეალური კანდიდატურა. არადა, მართლაც არ არის ის დრო, როდესაც „ქართულ ოცნებას“ ვინც არ უნდა დაეყენებინა, უპრობლემოდ გაიმარჯვებდა. ამიტომ „ქართული ოცნებისთვის“ საპრეზიდენტო კანდიდატად ივანიშვილი საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა.



რამაზ საყვარელიძე: „ძლიერი კანდიდატის გარეშე ხელისუფლება საპრეზიდენტო არჩევნებს წააგებს“



***– სოლიდური კანდიდატურა უნდა შეარჩიოს „ოცნებამ“, რადგან ამომრჩეველი ყველა კანდიდატს არ მიიღებს?***

– დიახ, ამ არჩევნებზე კანდიდატის ვინაობას გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. შეიძლება კანდიდატი უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, ვიდრე პარტიული კუთვნილება. ამიტომ ეს არ იქნება მარტივი არჩევნები. მმართველ პარტიას სერიოზული ბრძოლა ელის.

***– ოპოზიცია ხომ ძალიან სუსტია?***

– დიახ, სუსტია, მაგრამ, თუკი სუსტი კანდიდატურა ეყოლება „ოცნებას“, მაშინ დიდი შანსია, უპარტიო კანდიდატი წამოვიდეს წინა პლანზე და მივიღოთ ის, რაც თბილისის მერის არჩევნებზე მოხდა, ერთი განსხვავებით, მაშინ კალაძე იყო ძლიერი ფიგურა. კალაძე იყო ძლიერი და ამიტომ არ გახდა მეორე ტური საჭირო, თორემ ელისაშვილს ურიგო კონკურენცია არ გაუწევია კალაძისთვის. ამიტომ ვამბობ, თუ „ქართულ ოცნებას“ ძლიერი ფიგურა არ ეყოლება, მაშინ უპარტიო კანდიდატმა შეიძლება ყველა სხვა კანდიდატი უკან მოიტოვოს. ამ მხრივ მართლაც საკვანძო არჩევნები შეიძლება იყოს.

***– შეიძლება, რომ ეს არჩევნები პოლიტიკური პროცესების კატალიზატორი გახდეს, ანუ „ოცნებამ“ პირველად წააგოს?***

– არაფერი არ არის გამორიცხული. თუკი „ოცნება“ ნაკლებად სერიოზულად მიუდგება ამ არჩევნებს და შედარებით სუსტ კანდიდატურას წარადგენს, მაშინ, ვიმეორებ, არაფერი არ არის გამორიცხული. ეს არჩევნები კანდიდატების არჩევნები უფრო იქნება, ვიდრე პარტიების. თუ „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებს წააგებს, მივიღებთ იმ სიტუაციას, რომელიც დღეს გვაქვს – უპარტიო პრეზიდენტი გვეყოლება.

ამით ქვეყანა ნამდვილად არ დაიქცევა, მაგრამ ეს შეიძლება მერე უკვე გახდეს პოლიტიკური პროცესების ერთგვარი კატალიზატორი, პროცესების შემდგომ განვითარებას ვგულისხმობ.

***– „ქართულ ოცნებას“ ან სოლიდური კანდიდატის მოძებნა მოუწევს, ან დამარცხებას უნდა შეეგუოს?***

– დიახ, ყოველ შემთხვევაში, ძალიან დიდი შანსია, საპრეზიდენტო არჩევნები წააგოს მმართველმა პარტიამ, თუ მართლაც სოლიდურ და ძლიერ ფიგურას არ დაასახელებს პრეზიდენტის პოსტზე. თუმცა, ჯერ კიდევ დიდი დროა და სერიოზული დაფიქრებისა და მსჯელობის შემდეგ მოუწევთ მათ ამ გადაწყვეტილების მიღება.

ალბათ, კიდევ უფრო მეტი კანდიდატი დასახელდება ამ დროის განმავლობაში, მოხდება მათი წინასწარი მოსინჯვა საზოგადოებაში, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და ალბათ შემდეგ მოხდება გადაწყვეტილების მიღება. ჯერ დრო მმართველი პარტიის წინააღმდეგ არ მუშაობს, პირიქით. ეს ის დროა, როდესაც ბევრი რამ უნდა ჩამოყალიბდეს და გაირკვეს.

# ჯემალ გამახარია: „რუსეთი აფხაზეთის აღიარებას უკან წაიღებს“

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარიასთან

***– ბატონო ჯემალ, რა უნდათ აფხაზებს ნაურუში, რას ეძებენ იქ?***

– მე ვერ ვხედავ ლოგიკას აფხაზების ნაურუში ვიზიტში, ისევე, როგორც არანაირი ლოგიკა არ იყო ნაურუს დელეგაციის აფხაზეთში ვიზიტში. ნაურუს დელეგაცია თავისი პრეზიდენტის მეთაურობით ჩამოვიდა აფხაზეთში. აფხაზეთიდან ნაურუში რამდენიმე კაცია წასული. ნაურუდანაც რამდენიმე კაცი იყო ჩამოსული. ფინანსურ მხარეზე რომ ვისაუბროთ, ალბათ ე.წ. საგარეო უწყების ბიუჯეტის ნახევარი დასჭირდებოდა ნაურუში ჩაფრენას. ამ პატარა კუნძულოვან ქვეყანაში სულ 10 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ამ ქვეყანაში სკოლები არ არის.

***– რას შეიძლება აძლევდეს აფხაზებს ნაურუში ვიზიტი?***

– აფხაზური დელეგაციის ნაურუში ვიზიტში თუ რაიმე ლოგიკა არსებობს, მათ უნდათ, ამ გზით თავი დაიფიქსირონ. მათ მოსკოვი ეხმარება, ცდილობენ, თავი დააფიქსირონ, თითქოს დამოუკიდებლები არიან. ნაურუში ზეიმობენ დამოუკიდებლობის 50 წლისთავს. არ ვიცი, ნაურუ რამდენად დამოუკიდებელი ქვეყანაა, მაგრამ გაეროს წევრია. აფხაზებს ალბათ უნდათ, თავი დააფიქსირონ, აი, გაეროს წევრი ქვეყანა დამოუკიდებლობის 50 წლისთავს აღნიშნავს და ჩვენც ჩავედითო. არა მგონია, ნაურუში რომელიმე ქვეყნის სერიოზული დელეგაცია ჩავიდეს.



დარწმუნებული ვარ, თვითონ აფხაზი საზოგადოება დაფიქრდება იმაზე, დამოუკიდებლობანას თამაშს რამდენადაც აქვს აზრი. დამოუკიდებლობანას თამაში აფხაზებს არაფერს აძლევს, გარდა იმისა, რომ რამდენიმე კაცი ხარჯავს დიდი ოდენობით ბიუჯეტის ფულს. ისინი სარგებლობენ იმით, რომ თითქოს დამოუკიდებელი ქვეყანაა. სინამდვილეში აფხაზეთი არავითარი დამოუკიდებელი ქვეყანა არ არის, სუფთა წყლის ოკუპირებული ტერიტორიაა. ბიუჯეტი, რომელიც მათ გააჩნიათ, ე.წ. ჩინოვნიკების ვიზიტებში იხარჯება. ნაურუში მათი მოგზაურობა უკუშედეგებს გამოიწვევს აფხაზ საზოგადოებაში. ამაში დარწმუნებული ვარ.

თუ აფხაზებს მიაჩნიათ, რომ ნაურუ მათთვის უფრო ახლობელია, ვიდრე თბილისი, ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ასე არ არის.

***– რუსეთმა ვერ მოახერხა, ნაურუსა და კიდევ ორი მისნაირი ქვეყნის გარდა, ვინმეს ეღიარებინა მათი ე.წ. დამოუკიდებლობა.***

– თავის დროზე ნაურუმ 50 მილიონი მიიღო აფხაზეთის აღიარებისთვის. რუსეთმა ნაურუს აფხაზეთის აღიარებისთვის 50 მილიონი დოლარი გადაუხადა. თუ მათ გადავუხდით 50 მილიონს, გამოაცხადებენ, რომ უკან მიაქვთ თავიანთი აღიარება, როგორც ერთ დროს ტუალუმ აღიარა და შემდეგ უკან წაიღო აღიარება. ასეთი მეგობრები ჰყავთ ვითომ დამოუკიდებელ აფხაზებს.

***– დიახ, ტუალუმ უკან წაიღო აღიარება.***

– ტუალუ კიდევ ერთი კუნძულოვანი ქვეყანაა, რომელმაც 2014 წელს უკან წაიღო თავისი აღიარება და სწორადაც მოიქცა. დარწმუნებული ვარ, როდესაც ნაურუს არ დასჭირდება აფხაზეთი მატერიალური თვალსაზრისით, ისიც უკან წაიღებს თავის აღიარებას, ისევე, როგორც სხვა ქვეყნები რუსეთის თამადობით.

***– ამბობთ, აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებას ქვეყნები უკან წაიღებენ რუსეთის თამადობითო, მაგრამ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა რუსულ მედიასთან განაცხადა, რომ ისინი არ აპირებენ აფხაზეთის აღიარების უკან წაღებას. მათი ეს გადაწყვეტილება არ გადაიხედება. თქვენ რა გაძლევთ იმის თქმის***

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ბანგლადეშის მოქალაქეები საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის დროს დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, №2 სამმართველოს (ახალციხე) №5 სასაზღვრო სექტორის (ნიალა) დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის ხუთი მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული ჯარიმას ან 3-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები, სასაზღვრო საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ცდილობდნენ.



გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც 4-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# გერმანიაში ქურდობისთვის საქართველოსა და აზერბაიჯანის მოქალაქეები დააკავეს

გერმანიაში, ქალაქ მაინცში, მაღაზიაში ქურდობისთვის საქართველოსა და აზერბაიჯანის მოქალაქეები დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას გერმანული მედია ავრცელებს.

არსებული ინფორმაციით, საუბარია 43 წლის ქალსა და 46 წლის მამაკაცზე.

პოლიციის ინფორმაციით, დაკავებულებმა, სულ მცირე, ექვსჯერ გაქურდეს ქალაქის ცენტრში მდებარე მაღაზიები. მათ 6.860 ევროს ოდენობის საქონლის მოპარვა ედებათ ბრალად.

გამოძიების განცხადებით, მათ ტანსაცმლის მაღაზიიდან 6.200 ევროს ღირებულების, ხოლო პარფიუმერიის მაღაზიიდან 660 ევროს ოდენობის საქონელი წაიღეს.

# საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ლიტვის პრემიერ-მინისტრი ეწვევა

საქართველოს 29-30 იანვარს ოფიციალური ვიზიტით ლიტვის პრემიერ-მინისტრი საულიუს სკვერნელისი ეწვევა. მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, 29 იანვარს ლიტველ კოლეგას საქართველოს მთავრობის მეთაური გიორგი კვირიკაშვილი უმასპინძლებს. მთავრობის ადმინისტრაციაში დახვედრის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ გიორგი კვირიკაშვილი საულიუს სკვერნელისს პირისპირ შეხვდება, რის შემდეგაც მოლაპარაკებები გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდება. ამის შემდეგ პრემიერ-მინისტრები მედიისთვის განცხადებებს გააკეთებენ.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ლიტვის პრემიერის შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარესთან.

30 იანვარს ლიტვის პრემიერ-მინისტრი საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ოძისში გაემგზავრება, ასევე ეწვევა დროებით იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებას ფრეზეთში. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ლიტვის პრემიერ-მინისტრი გვირგვინით შეამკობს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალს.

**ინტერპრესნიუსი**

# როგორ აპირებს ბიზნესომბუდსმენი მთავრობისა და ბიზნესის მორიგებას

**თბილისის ყოფილი ვიცემერი ირაკლი ლექვინაძე ბიზნესომბუდსმენად დაინიშნა. როგორც პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ის დარწმუნებულია, რომ ირაკლი ლექვინაძე იქნება ბიზნესის ხმა მთავრობაში. ბიზნესსექტორის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ყოფილ ვიცემერს კარგად იცნობენ და მასთან კომუნიკაცია არ გაუჭირდებათ. ბიზნესმენები ითხოვენ, ახალმა ბიზნესომბუდსმენმა კერძო სექტორის ინტერესები უფრო პრინციპულად დაიცვას. ირაკლი ლექვინაძე, რომელიც პროფესიით ეკონომისტია, ბოლო წლების განმავლობაში თბილისის ყოფილი მერის, დავით ნარმანიას მოადგილე იყო. მან „მაესტროს" კითხვებს უპასუხა.**



***– რა არის თქვენი ამოცანა, რა დატვირთვა აქვს თქვენთვის ამ პოზიციას? თუ გაქვთ რამე პირადი გეგმა, თუნდაც მოკლევადიანი?***

– პირველ რიგში, მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს გამოცხადებული ნდობისთვის და ეს არის მართლაც უდიდესი პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, ის მემკვიდრეობა, რომელიც არსებობს ბიზნესომბუდსმენის პოზიციაზე და ზოგადად ამ ინსტიტუტში, ეს არის საკმაოდ მაღალი დონისა და მაღალი ხარისხის და ჩემთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეალურად ეს მაღალი დონის ურთიერთობა ბიზნესსტრუქტურებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის გაგრძელდეს.

რა თქმა უნდა, მთავარი ამოცანა არის აქტიური კომუნიკაცია და მნიშვნელოვანი რგოლის კიდევ უფრო მეტად გაძლიერება ბიზნესსექტორსა და სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებებს შორის, რომლებთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული ბიზნესი თავისი საქმიანობით. ვფიქრობ, რომ მოკლე ვადაში, რაც ამ ეტაპზე შემიძლია გითხრათ, ჩემი მიმართულება არის ის, რომ დავიწყო აქტიური კომუნიკაცია და მაქსიმალურად მოვიცვა ყველა ბიზნესგაერთიანება, რომელიც აერთიანებს როგორც მსხვილ ბიზნესს, ასევე სექტორულ თუ რეგიონულ ბიზნესგაერთიანებებს.

ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა გავამახვილო მცირე ბიზნესის გაერთიანებებზე, რადგან იქაც საკმაოდ ბევრი ბიზნესსუბიექტია თავმოყრილი, სადაც თავს იყრის ყველა ის პრობლემატიკა, თუ ყველა ის საკითხი, რომელიც შეიძლება შემდეგ გადამისამართდეს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია აქტიური კონსულტაციები და შეხვედრები საკონსულტაციო და იურიდიულ კომპანიებთან, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გამოდიან სხვადასხვა ბიზნესსუბიექტებისა და ბიზნესით დაკავებული სუბიექტების მრჩევლები და კონსულტანტები, რადგანაც ისინიც ძალიან კარგად იცნობენ იმ პრაქტიკას თუ იმ საკანონმდებლო ნორმებს, რომლებიც თვლიან, რომ უფრო მეტი სრულყოფაა ამ მიმართულებით საჭირო.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია აქტიური კომუნიკაცია იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ბიზნესის საკითხებზე მუშაობენ, რადგანაც ხშირ შემთხვევაში ისინიც გამოირჩევიან საკმაოდ საინტერესო ინიციატივებით.

ამიტომ პირველი მთავარი ამოცანა საქმიანობის პირველ ეტაპზე სწორედ ეს იქნება, მაქსიმალურად მოცვა ამ ჯგუფების, სადაც თავს იყრის ეს მნიშვნელოვანი საკითხები და ბუნებრივია, აქტიური ურთიერთობა ყველა იმ სახელმწიფო უწყებასთან, საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, რომელთა მისამართითაც შეიძლება იყოს გარკვეული საკითხები. ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუტის მთავარი ამოცანა იქნება ის, თუ რაც შეიძლება მეტი კომპრომისი იქნება მიღწეული ბიზნესსა და სახელმწიფო უწყებებს შორის, რადგანაც მნიშვნელოვანია ყველა ის საკითხი, რომელსაც ბიზნესი დასვამს და თუ ის იქნება სამართლიანი, იქნება ძალიან პრინციპული მიდგომა, თუმცა შეიძლება იყოს საკითხები, სადაც გადაჭარბებული მოლოდინები არსებობს და ამის შესახებაც მაქსიმალური გამჭვირვალობით ვეცდებით, რომ საზოგადოებას, ბიზნესსექტორს ვაცნობოთ სწორედ ამ საკითხების შესახებ.

***– საინტერესოდ დასვით საკითხი ბიზნესის მოთხოვნების სამართლიანობასთან დაკავშირებით. თქვენ მაინც როგორ წარმოგიდგენიათ, ბიზნესომბუდსმენი ვის მხარეს წარმოადგენს – ეს არის ბიზნესის დამცველი მთავრობაში თუ, პირიქით, გარკვეულწილად მთავრობის ინტერესების გამტარებელი ან მთავრობის იდეების მიმწოდებელი ბიზნესისთვის? აქ ზღვარი სად გადის?***

– ბიზნესომბუდსმენის მთავარი მიზანი არის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული პირების, მათი კანონიერი მოქმედებების მაქსიმალური მხარდაჭერა და მათი ხელშეწყობა. ანუ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ის იცავს ბიზნესის ინტერესებს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან მიმართებაში. ყველა სამართლიანი მოთხოვნა, ყველა რაციონალური მოთხოვნა, რომელიც იქნება ბიზნესისგან დასმული, ჩვენ მაქსიმალური რეაგირებით და ეფექტურობით შევეცდებით, მივიტანოთ ნებისმიერ სახელმწიფო უწყებასთან.

***– პრინციპში, ასე ესმით და ამას ითხოვენ თქვენგან ბიზნესსექტორის წარმომადგენლები, იმიტომ, რომ კომენტარებში, რომლებიც მოვისმინეთ, ისინი ამბობენ, რომ სასურველია ბიზნესომბუდსმენმა უფრო პრინციპულად დაიცვას მათი ინტერესები. როგორც ჩანს, ისინი უკვე განვლილ პრაქტიკაზე საუბრობენ და არ სურთ შეხვედრები შეხვედრებისთვის.***

– პირველ რიგში, ძალიან დიდ მადლობას გადავუხდი ბიზნესსექტორს. გაკეთდა კომენტარები და, ბუნებრივია, ეს ჩემთვის არის გარკვეული ავანსი იმისთვის, რომ ის მოლოდინები, რომლებიც არსებობს ბიზნესსექტორში, მაქსიმალურად გავამართლო.

პირველ რიგში, ჩვენ შეხვედრა გვჭირდება იმისთვის, რომ განისაზღვროს იმ საკითხთა წრე, რომელიც ბიზნესს მიაჩნია, რომ დღეს არის აქტუალური. ყველას ვპირდები, მსხვილი ბიზნესი იქნება, მცირე ბიზნესი თუ ასე შემდეგ, რომ მაქსიმალურად ამოვწურავთ ყველა რესურსს იმ საკითხების მისატანად სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებამდე, რომელთანაც არსებობს მსგავსი ტიპის რიგი საკითხები, ეხება ეს საკანონმდებლო საკითხს, თუ ეხება ეს ბიზნესის წარმოების პრაქტიკას ქვეყანაში. ამიტომ ჩვენ მაქსიმალურად დავიხარჯებით ამ კუთხით და შევეცდებით, რომ რაც შეიძლება მეტი კომპრომისული გადაწყვეტილება გვქონდეს ამ შუალედური რგოლის მეშვეობით.

***– სავსებით ბუნებრივია ის, რომ მთავარი საკითხები გამოიკვეთება იმ შეხვედრებზე, რომლებიც ალბათ თქვენ უკვე დაგეგმეთ, მაგრამ თუ შეიძლება წინასწარი სახით მიმართულებები მაინც, თქვენი აზრით, რა არის დღეს მთავარი პრობლემა ბიზნესისთვის?***

– ქვეყანაში, ზოგადად, ბიზნესგარემო არის პოზიტიური. ამას ადასტურებს ის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების შეფასებები, რომლებიც აფასებენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საკითხს, თუმცა ბიზნესი არის მუდმივი განვითარების რეჟიმში და ბიზნესის წარმოების პროცესში თუ კანონშემოქმედებით პროცესში შეიძლება არსებობდეს რიგი საკითხები, რომლის მიმართაც ბიზნესს ჰქონდეს საკუთარი შენიშვნები. ეს ბუნებრივია და სწორედ ამ ნაწილში იქნება ჩვენი

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# დავით მესხიშვილი: „მერის გადაწყვეტილებები პოზიტიურია, თუმცა რეალური შედეგები არ ჩანს"

ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარე დავით მესხიშვილის განცხადებით, თბილისის მერ კახა კალაძის მიერ დედაქალაქის საცობებისგან განტვირთვის გეგმაში პოზიტიური ნიშნები არის, თუმცა მთავარია, გეგმა რეალურად განხორციელდეს.

როგორც ცნობილია, კახა კალაძემ საცობების განტვირთვის რამდენიმეპუნქტიანი გეგმა წარმოადგინა, რომელიც მეტროს რეაბილიტაციას, დასუფთავებისა და სადისტრიბუციო მანქანების სპეციალური გრაფიკით მოძრაობას, ტაქსების ლიცენზირებასა და ტრანზიტული მოძრაობისთვის ჯარიმების გაზრდას ითვალისწინებს.

დავით მესხიშვილის თქმით, საკითხების ნაწილი დავით ნარმანიას მერობის დროსაც იდგა დღის წესრიგში, თუმცა არ განხორციელდა.

– ქალაქის მერის განცხადებებში ზოგადად პოზიტიური გზავნილები არის და მან გაითვალისწინა ჩვენ მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაციები, რომლებსაც დავით ნარმანიას ვაძლევდით, მაგალითად, დასუფთავების სამსახურის მომსახურების ღამის საათებში გადატანასთან დაკავშირებით, პიკის საათებში სადისტრიბუციო მანქანების შეზღუდვასთან დაკავშირებით... მეორე საკითხია ეს რამდენად სრულდება, რადგან შედეგს ვერ ვხედავ. დასუფთავების სამსახური ისევ ისე მუშაობს და დისტრიბუციის ავტომობილებიც. ტაქსების საკითხიც დიდი ხანია დგას. დავით ნარმანიას მერობის დასაწყისიდანვე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მეც ვიყავი. ალბათ ახალი მერის განცხადებაც ეყრდნობა ამ სამუშაო ჯგუფის დასკვნებს, თუმცა ჩვენ ვერ დავინახეთ კონკრეტული გეგმა, რა როგორ უნდა მოხდეს, – განაცხადა დავით მესხიშვილმა.

დავით მესხიშვილის თქმით, ტრანზიტული მოძრაობისთვის ჯარიმის გაზრდა მისაღებია, თუმცა ცუდია, რომ ალტერნატიული გზა არ არსებობს.

– ეს ნორმალური გადაწყვეტილებაა, მაგრამ ცუდია, რომ შემოვლითი გზა არ ვარგა და სჭირდება რეაბილიტაცია. შემოვლითი რკინიგზის პროექტიც, რომელიც უკვე 6 წელია დაკონსერვებულია, უნდა გაკეთებულიყო. თუ მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომ ტაქსებს დაუწესდებათ საგადასახადო რეგულაციები, ის გაძვირდება და გახდება ფუფუნების საგანი. მაშინ მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ მგზავრთა ნაკადი გაიზრდება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, რომელიც ისედაც გადატვირთულია და ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას. იგივეა ტრანზიტულ მოძრაობაზე, წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ მაშინ ალტერნატივა უნდა შევთავაზოთ, – აცხადებს დავით მესხიშვილი.

„ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის" თავმჯდომარე დასძენს, რომ დედაქალაქის საცობების განტვირთვისთვის საჭიროა თანმიმდევრული გადაწყვეტილების მიღება.

– პირველი ეს არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება. ავტობუსების საჭირო რაოდენობა, რომელიც უფრო სწრაფად ივლის, იქნება უფრო იაფი და მანქანის მძღოლსაც მოუნდება კომფორტულ ავტობუსში გადაჯდომა. ევროკავშირის ქვეყნებში ასე დაიძლია საცობების პრობლემა. მეტროს ვაგონებს უნდა დაემატოს და ამის შემდეგ შეიძლება საუბარი ტაქსების რეგულირებაზე. გასათვალისწინებელია, რომ 40 ათასი ადამიანისთვის ეს გახდა ლუკმაპურის საშოვნელი სფერო და მისი წართმევა იქნება ძალიან მტკივნეული, – განმარტავს მესხიშვილი.



# ჯემალ გამახარია: „რუსეთი აფხაზეთის აღიარებას უკან წაიღებს"

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***საშუალებას, რომ მომავალში თავისი აღიარება შეიძლება რუსეთმაც უკან წაიღოს?***

– დარწმუნებული ვარ, დადგება დრო, როცა რუსეთი აფხაზეთის აღიარებაზე უარს იტყვის. აფხაზეთის აღიარებაზე უარს იტყვიან ნიკარაგუა და ვენესუელაც. რუსეთის ხელისუფლება შეიცვლება. ხელისუფლებაში დემოკრატიული ძალები მოვლენ და აფხაზებისა და ოსების დამოუკიდებლობანას თამაში დამთავრდება.

***– თუმცა რუსეთი ჯერჯერობით თავის პოლიტიკას არ ცვლის.***

– ვიმეორებ, დარწმუნებული ვარ, დადგება დრო, როცა რუსეთისთვის წამგებიანი იქნება დამოუკიდებლობანას თამაში ისეთ წარმონაქმნებთან, როგორებიცაა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მსგავსი ტერიტორიული წარმონაქმნები და მათი აღიარება, ამიტომ ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებას უკან წაიღებს.

***– აფხაზებს ასეთი ვიზიტები ალბათ საერთაშორისო ურთიერთობებისთვის სჭირდებათ.***

– ნაურუში იმყოფება ცხინვალის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი მედოევიც. ნაურუ პატარა ქვეყანაა და მაინცდამაინც დიდ როლს არ თამაშობს საერთაშორისო ურთიერთობებში. ნაურუს დამოუკიდებლობის 50 წლისთავი მაინცდამაინც დიდ საერთაშორისო მოვლენად არ აღიქმება. ამიტომ აფხაზი და ოსი სეპარატისტები ნაურუს დამოუკიდებლობის 50 წლისთავზე ყველაზე დიდი სტუმრები არიან. აფხაზეთიდან წასული არიან ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი და კიდევ რამდენიმე კაცი. ვერ ვიტყვი, რომ იქ მნიშვნელოვანი დელეგაციების ვიზიტები იქნება.

***– რუსეთიდან თუ არის დელეგაცია?***

– ესენი, ფაქტობრივად, რუსეთის დელეგაციას შეადგენენ, რუსეთის მიერ არიან დაფინანსებული.

***– რუსეთის მიერ არიან დაფინანსებული და რუსული პასპორტებითაც წავიდნენ.***

– რასაკვირველია, რუს და აფხაზ სეპარატისტებს რუსული პასპორტები უდევთ ჯიბეში, რუსეთის მოქალაქეები არიან. აბა, აფხაზური პასპორტებით სად წავლენ. აფხაზური პასპორტი იურიდიულად არ არსებობს.

აფხაზი საზოგადოების გამოსაფხიზლებლად ასეთი ვიზიტები კარგი გაკვეთილი იქნება, რათა, ბოლოს და ბოლოს, მიხვდნენ, რა „დამოუკიდებლობა" მიიღეს რუსული ავანტიურის შედეგად ან ხვალ-ზეგ რა ელით. ამის გასაცნობიერებლად მათ ნაურუში ვიზიტს შეიძლება დადებითი მნიშვნელობა ჰქონდეს.

***– ბევრი პრობლემა კი აქვთ.***

– პრობლემა ბევრი აქვთ და ნაურუს დახმარებით იმ პრობლემებს გადაწყვეტენ.

***– თავის გადასარჩენად ბრძოლა სჭირდებათ.***

– რა თქმა უნდა, აფხაზებს ყველა მიმართულებით პრობლემა აქვთ, როგორც იდენტობის შესანარჩუნებლად, ასევე ეკონომიკური კუთხით. უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა და დემოგრაფიული ვითარებაა. მომავალში ამ გზით პრობლემები კი არ მოგვარდება, უფრო გამწვავდება. რაც უფრო ხშირად წავლენ ნაურუში, მით უფრო გამწვავდება ყველა პრობლემა.

როდესაც ვსაუბრობთ აფხაზების ნაურუში ჩასვლის მიზანზე, გარდა იმისა, რომ აფხაზებს უნდათ თავიანთი თავის დაფიქსირება, იქ არის კიდევ ერთი საკითხი – ნაურუს პრეზიდენტის ვიზიტისას დაისვა საკითხი, შეექმნათ რაღაც გაერთიანება „აფხაზეთი-ნაურუ-ტუალუ-ცხინვალის რეგიონის". ნაურუს პრეზიდენტი აფხაზებს ალბათ დაჰპირდა, იქნებ ტუალუმ ისევ უკან წაიღოს არაღიარება, ისევ აღიაროს აფხაზეთი, რაღაც გაერთიანება ჩამოვაყალიბოთ, რომელიც შემდეგ აფხაზებისა და ოსების ინტერესებს დაიცავს გაეროშიო. ალბათ ერთ-ერთი საკითხი, რომელიც შემდეგ იქნება განხილული, შეიძლება ესეც იყოს. ჰგონიათ, თუ ნაურუ დაიცავს აფხაზების ინტერესებს გაეროში, რაღაც ეშველებათ, ან ნაურუ დაეხმარება, ან ტუალუ. თუმცა, არა მგონია, ტუალუმ კვლავ აღიაროს აფხაზების ე.წ. დამოუკიდებლობა, გაეროში მათი ინტერესები დაიცვას ან რაიმე გაერთიანება ჩამოაყალიბონ ამ ტერიტორიული წარმონაქმნების მონაწილეობით. სეპარატისტები იმედებით ცხოვრობენ, თუმცა, არა მგონია, ასეთ საქმეში მათ ვინმემ ხელი გაუმართოს, მით უმეტეს, ღმერთმა.

***– ცოტა ხნის წინ ევროპულ სტრუქტურებში აფხაზების წარდგენის მცდელობა ხომ იყო, ხომ მიიწვიეს მათ პრობლემებზე სასაუბროდ?***

– ევროპარლამენტის ერთ-ერთი წევრი შეეცადა აფხაზი სეპარატისტების წარდგენას. ევროპარლამენტის თითოეულ წევრს უფლება აქვს, ევროპარლამენტში მიიწვიოს ვინც უნდა და მის პრობლემებზე ალაპარაკოს. ზუსტად ამ გზით ჩავიდა იქ მედოევი და ისაუბრა მათ პრობლემებზე. აფხაზები უფრო ადრე არიან იქ ნამყოფი არაოფიციალური სტატუსით. გაეროში აფხაზები ოფიციალურ მიწვევას ითხოვენ. ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდება. მე თუ მკითხავთ, აფხაზეთს ჰყავს თავისი ლეგიტიმური ხელისუფლება და, თუ ვინმე უნდა იყოს გაეროში მიწვეული, ეს ლეგიტიმური ხელისუფლებაა და მან უნდა ილაპარაკოს აფხაზეთის პრობლემებზე. თუ გაიმართება მოლაპარაკება, შეიძლება გაეროში მიწვეული იყოს აფხაზეთის სახელით მოქმედი ორივე ხელისუფლება – ერთი – დე ფაქტო, მეორე – ლეგიტიმური ხელისუფლება – და ორივემ ვილაპარაკოთ აფხაზეთის პრობლემებზე. მე საკითხის ასეთ გადაწყვეტას მხარს დავუჭერ. სხვა შემთხვევაში აფხაზების გაეროში მიწვევა გამორიცხულია.

# სვანეთი, გურია, აჭარა, სამცხე–ჯავახეთი — ადგილები, სადაც ოქროს დიდი მარაგი არსებობს

საქართველოში ოქროს წარმოებას უძველესი დროიდან მისდევდნენ. „ოქრომრავალი კოლხეთი“ – ასე უწოდებდნენ კოლხეთის სამეფოს ძველად. არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ არგონავტების მოგზაურობა კოლხეთში რეალური ფაქტი იყო.

სტრაბონი თავის გეოგრაფიულ თხზულებებში წერდა, რომ სვანეთში მდინარეებს ჩამოაქვს ოქრო, რომელსაც იქ მცხოვრებნი დახვრეტილი ვარცლებითა და ბეწვიანი ტყავებით აგროვებენ. საქართველოში ოქროს წარმოება დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს. 2017 წლის მონაცემებით, ათ მთავარ საექსპორტო საქონელს შორის ოქრო ერთ-ერთია, გასულ წელს მისი წილი მთლიან ექსპორტში 2.7% იყო.

რა მდგომარეობაა დღეს ამ მხრივ და სად მოიპოვებენ ოქროს საქართველოს ტერიტორიაზე?

ამ საკითხზე წიაღის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის უფროსი მერაბ ჩალათაშვილი გვესაუბრება:

– საქართველოში ოქროს არქაული დროიდან მოიპოვებენ. საამისოდ სხვადასხვა მეთოდს იყენებდნენ. თავდაპირველად ოქროს ჩვენი წინაპრები ე.წ. საცრის მეთოდით მოიპოვებდნენ: ამ დროს ქვიშრობული ოქრო გობის ფორმის ჭურჭელში ირეცხება და ქვიშაში არსებული ხალასი ოქროს მარცვლები ცხრილში რჩება. ეს ძველისძველი მეთოდია, რომელსაც სვანეთშიც იყენებდნენ და სამხრეთ საქართველოშიც, კერძოდ, ბოლნისის ტერიტორიაზე. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ოქროს ქიმიური დამუშავებაც დაიწყეს. ამ დროს ოქროს გამოყოფა ხდება სხვა მადნებიდან – ძირითადად, ციანიდის და შხამქიმიკატების დახმარებით. ქიმიური დამუშავების მეთოდს იყენებს „არემჯი გოლდი“, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთი ოქროს მომპოვებელი კომპანიაა საქართველოში. ეს კომპანია ოქროს გადაამუშავებს და უცხოეთის ქვეყნებში კონცენტრატის სახით გააქვს. „არემჯი გოლდის“ გარდა, გვყავს სხვა ლიცენზიანტებიც, რომლებიც ჯერ შესწავლის ეტაპზე არიან.



***– სად არის ოქროს ყველაზე დიდი მარაგი საქართველოში?***

– პირველ რიგში, ასეთი ადგილია ბოლნისის მადნიანი ველი და, ზოგადად, სამხრეთ საქართველო, გარდა ამისა, სვანეთში, სოფელ იელშიც გვაქვს ქვიშრობული ოქროს საკმაო მარაგი. იქ ეს მარაგი ჩინურმა კომპანიამ მოიძია, მაგრამ სვანებმა პრობლემები შეუქმნეს და ამჟამად ვერ მუშაობენ.

***– ამას სვანეთში ეკოლოგიური პრობლემები ხომ არ მოჰყვებოდა?***

– ეკოლოგია აქ არაფერ შუაშია, რადგან ქვიშრობული ოქროს მოპოვება ერთ-ერთი ყველაზე სუფთა მეთოდია, რომლითაც გარემოს ყველაზე ნაკლები ზიანი ადგება. წარმოიდგინეთ ქვიშა, სადაც ოქროს მარცვლებია. დანადგარი ქვიშას იღებს და ცხრილებში ატარებს, ქვიშა ირეცხება და ოქროს წვრილი მარცვლები ცალკე იყრება. ეს სუფთა მექანიკური დამუშავებაა, რომლის დროსაც ქიმიური პრეპარატების გამოყენება არც შეიძლება. ადგილობრივების არგუმენტი ასეთი იყო: ისინი ქვეყნის სიმდიდრეს არავის გაატანენ, სხვათა შორის, ისინი ოქროს თავადაც მოიპოვებენ, თუმცა, კუსტარული წესით. მაგრამ ეს სახელმწიფო ქონებაა და ამ მხარის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იელში აღმოჩენილ ოქროს მარაგს ეკონომიკური თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი ადგილობრივ ბიუჯეტში შედის.

***– კიდევ რა ადგილებშია ოქროს მოპოვება პერსპექტიული?***

– საერთოდ, არსებობს საბადო და პერსპექტიული უბანი. საბადო ის ადგილია, სადაც ოქროს მარაგი უკვე მოძიებული და შესწავლილია. ასევე არის უბანი, სადაც ძვირფასი ლითონების არსებობის ნიშნები აშკარაა, მაგრამ ამ შრეების ზუსტი განლაგება და რაოდენობა არ ვიცით. ამას სპეციალისტები „გამოვლინების უბანს“ უწოდებენ, ის პერსპექტიულ უბნად არის მიჩნეული და ხელახალ გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებს საჭიროებს. ასეთი კვლევა საკმაოდ ძვირი ჯდება, რის გამოც სახელმწიფო მსგავს კვლევებს აღარ ატარებს. ის მთლიანად კერძო კომპანიების ხელშია გადასული. ამ საქმიანობისთვის სპეციალური ლიცენზია გაიცემა.

***– რაც შეეხება საერთოდ ქართულ ოქროს, როგორია ის? ვგულისხმობ ხარისხობრივ მაჩვენებელს.***

– ქართული ოქრო საკმაოდ ხარისხიანია. ამბობენ, რომ ოქროს, როგორც ადამიანს, თავისი გენეტიკური კოდი აქვს, რომლის დადგენაც თურმე საკმაოდ იოლი ყოფილა. ქართული ოქროს გარჩევაც ადვილია. სხვათა შორის, პატარა ქვეყნისთვის ოქროს საკმაო რაოდენობა გვაქვს. ბიუჯეტის შემოსავლებშიც ოქროს და წიაღისეულს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მთელ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანა ოქროს მოპოვების მხრივ არის რუსეთი, მას მოსდევს სამხრეთ აფრიკა, კანადა, ავსტრალია – ეს ქვეყნები ოქროს მსხვილი მომპოვებლები არიან. მართალია, მათ ვერ შევედრებით, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მასშტაბებიდან გამომდინარე, ოქროს საკმაო მარაგი გვაქვს. თანაც, გვაქვს პერსპექტიული უბნები, რომლის გამოკვლევამ საკმაოდ კარგი შედეგი უნდა მოგვცეს.

***– რომელი ადგილებია ამ მხრივ გამორჩეული?***

– პირველ რიგში, კავკასიონის სამხრეთი ფერდი – სვანეთიდან და რაჭიდან დაწყებული ზოლი, რომელიც ლამის, კახეთამდე მიდის. კავკასიონის სამხრეთ კალთებზე გამომავალ მდინარეებში ბევრგან არის ოქროს ნიშნები, რომელიც ამ მდინარეების ქვიშას მოაქვს. ოქროს მოპოვების მხრივ ძალზე პერსპექტიული ადგილია ბოლნისის მადნიანი ველი, სადაც კვლევები ახლაც მიმდინარეობს, ასევე უაღრესად პერსპექტიულია თრიალეთის ქედზე არსებული ღაღვი-გუჯარეთის უბანი – ადიგენის მუნიციპალიტეტიდან წალკის მუნიციპალიტეტამდე. მასში შედის ხაშურის, ბორჯომის და ქარელის ტერიტორიაც. ეს ძალიან პერსპექტიული ადგილებია არა მარტო ოქროს, არამედ სხვა პოლილითონებისა და ფერადი ლითონების მოპოვებისთვის. პერსპექტიული ადგილია გურია – ზოტის უბანი, ასევე – მერისის მადნიანი კვანძი, რომელიც აჭარაში მდებარეობს. ამ უბნებში ოქროსთან ერთად არის სპილენძი, კობალტი და სხვა ძვირფასი ლითონები. საბადოს სახელი იმის მიხედვით ერქმევა, თუ რომელი ლითონის შემცველობაა იქ მეტი, შეიძლება სპილენძი იყოს მეტი და ოქრო – ნაკლები, ან – პირიქით. მე უმნიშვნელოვანეს სიახლედ მიმაჩნია, რომ „კავკასიის სამთო ჯგუფმა“ ბოლნისის მადნიან ველზე, ბექთაქარის საბადოს ერთ-ერთ უბანზე, ოქროს სერიოზული მარაგს მიაკვლია. ეს პერსპექტიული და საინტერესო უბანია, სადაც საკმაო რაოდენობით ოქროს მოპოვება შეიძლება.

***– თქვენი აზრით, მოპოვების ზრდის შემთხვევაში ოქროს გატანა ექსპორტზე როგორ უნდა მოხდეს?***

– ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია, რომ ნედლეულის გადამუშავება ადგილზე ხდებოდეს, ექსპორტზე უკვე მზა პროდუქცია უნდა გადიოდეს და არა – ნედლეული, ან ნახევარფაბრიკატი. ეს ნიშნავს მეტ დასაქმებულ ადამიანს, ახალ სამუშაო ადგილებს, ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებას. საქართველოში იმდენი ოქრო მოიპოვება, რომ ის მარტო ადგილობრივი ბაზრისთვის ბევრია. რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა ექსპორტზე ქართული ოქროთი დამზადებული ნაკეთობები გადიოდეს და არა – ნახევარფაბრიკატები, თუმცა, ეს ბიზნესის თემაა და იმის მიხედვით წყდება, კომპანიისთვის რა უფრო მომგებიანია. დასასრულ ვიტყოდი, რომ თუ ქართველები ამ სიმდიდრეს რაციონალურად გამოვიყენებთ, ჩვენი ეკონომიკა მნიშვნელოვნად დაწინაურდება და განვითარდება.

# მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ბაზრიდან გადიან

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა მცირდება.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემებით, 2017 წლის დეკემბერში ქვეყანაში სულ 75 მისო ოპერირებდა, მაშინ, როდესაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდში მათი რაოდენობა 81 ერთეული იყო, უფრო გვიან, 2017 წლის მაისში კი საქართველოში 88 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მოქმედებდა.



არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის ხელმძღვანელი ირაკლი ბერძენაძე ბაზარზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემცირებას გამკაცრებულ რეგულაციებს უკავშირებს და არ გამორიცხავს, რომ ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდეს. მისივე თქმით, არც ის არის გამორიცხული, რომ ბაზარზე არასაბანკო დაწესებულებების გამსხვილებაც მოხდეს.

– ზოგადად ეს არის საფინანსო სექტორისათვის ძალიან ცუდი ტენდენცია, რადგან არასაბანკო საფინანსო სექტორი საფინანსო სისტემის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია, ის არის პირდაპირი კონკურენტი საბანკო სექტორის და მათგან განსხვავებით მოსახლეობის ფართო მასებისათვის ქმნის დამატებითი შემოსავლის და საკრედიტო დაბანდების შესაძლებლობებს. მაგრამ სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ეროვნულ ბანკს სრული უფლება მისცა, რომ ამ სექტორის კონტროლი და რეგულირება მოახდინოს.

– ყველა ის ცვლილებები, რომელიც ბოლო პერიოდში არასაბანკო სექტორის მიმართ განხორციელდა, არასწორი იყო. სახელმწიფომ შეცდომა დაუშვა, როდესაც რეგულატორს, რომელიც უნდა ზრუნავდეს საბანკო სექტორის განვითარებაზე, მისცა მკაცრი რეგულირების ყველა შესაძლებლობა, რომ აკონტროლოს და მოახდინოს რეგულირება იმ სექტორის, რომელიც პარალელურად საბანკო სექტორის ყველაზე სერიოზული კონკურენტია, – განუცხადა „ბიზნესპრესნიუსს“ ირაკლი ბერძენაძემ.

მისივე თქმით, არასაბანკო დაწესებულებების შემცირების შემთხვევაში, შესაძლოა, ბანკებმა მსესხებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ვერ შეძლონ.

– კომერციული ბანკები არასაბანკო ორგანიზაციების შემცირებით მიიღებენ დადებით შედეგს იმ მხრივ, რომ დეპოზიტარებს მიიზიდავენ. მაგრამ, მეორე მხრივ, ისმის კითხვა – ბანკები დააკმაყოფილებენ თუ არა მსესხებლების იმ რაოდენობას, რომელიც ჰყავს არასაბანკო დაწესებულებებს? ვერ დააკმაყოფილებენ, რადგან ბანკების და არასაბანკო სექტორის კლიენტები არიან ორი განსხვავებული კლიენტების კატეგორია. ბანკები არ/ვერ შედიან იმ რისკში, რომელშიც შედიან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.

დასკვნისთვის, ეროვნული ბანკის ხელში არასაბანკო სექტორის რეგულირების გადასვლა არის ძალიან დიდი შეცდომა. რაც მეტად გაეზრდება ეროვნულ ბანკს უფლებები არასაბანკო სექტორის რეგულირებაზე, ის ამ სექტორს შეამცირებს მოკლევადიან პერიოდში, ხოლო გრძელვადიან პერიოდში სექტორის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, – განუცხადა „ბიზნესპრესნიუსს“ ირაკლი ბერძენაძემ.

# სურსათის ეროვნული სააგენტო ზამთრის კურორტებზე შემოწმებას განაგრძობს

ზამთრის კურორტებზე, როგორც „კომერსანტს“ სააგენტოდან აცნობეს, თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონულმა სამსახურებმა როტაციის პრინციპით მცხეთა-მთიანეთის რეგიონის საკურორტო ზონასა და მაგისტრალზე არსებული 50 ობიექტის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა, სურსათის ეტიკეტირება, შენახვისა და რეალიზაციის პირობები შეამოწმეს. გადამოწმდა რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების ბაზაც. სხვადასხვა შეუსაბამობის გამო 25 ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა.

სააგენტოს ინსპექტორებმა ბიზნესოპერატორებს სურსათის უვნებლობის მოთხოვნები გააცნეს და შესაბამისი რეკომენდაციები მისცეს.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვის, ჩართულობისა და ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სასტუმროებში, რესტორნებსა და კაფე-ბარებში განთავსდა სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხელი ხაზის ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია.



სურსათის ეროვნული სააგენტო ზამთრის კურორტებზე საზოგადოებრივი კვების ობიექტებს რეგულარულად ამოწმებს.

სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 2017 წლის მაისში გაფორმდა, რაც ტურისტებით დატვირთულ ადგილებში კვების ობიექტების სახელმწიფო კონტროლის გააქტიურებას, უწყებებს შორის კოორდინირებულ საქმიანობას, ტურისტებისა და ადგილობრივი მომხმარებლის ინტერესების დაცვას ითვალისწინებს.

# სავაჭრო ობიექტების ნაწილში თამბაქოზე ფასი 10 თეთრით გაიზარდა

თბილისში სავაჭრო ობიექტების ნაწილში თამბაქოს პროდუქციაზე ფასი 10 თეთრით გაიზარდა. ფასის მატება თითქმის ყველა სახის სიგარეტს შეეხო. სავაჭრო ობიექტების ნაწილში აცხადებენ, რომ მათ ფასების მომატების შესახებ წინასწარი ინფორმაცია არ ჰქონდათ.

რაც შეეხება მსხვილ სავაჭრო ობიექტებს, სიგარეტის შეძენა აქ კვლავ ძველი ფასით არის შესაძლებელი, თუმცა, როგორც ამ ობიექტებში აცხადებენ, გამორიცხული არ არის, მომავალი კვირიდან თამბაქოს ნაწარმზე ფასები გაიზარდოს.

# როგორ აპირებს ბიზნესომბუდსმენი მთავრობისა და ბიზნესის მორიგებას

დასაწყისი მე-5 გვერდზე

როლი ძალიან აქტიური, რომ ამ განვითარების პროცესში მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ბიზნესის ინტერესები და ბიზნესის ხმა.

***– დავკონკრეტდეთ რამდენიმე საკითხზე, რომლებზეც თავად ბიზნესი საუბრობს, მაგალითად, ბიზნესდავები. როგორც წესი, კერძო სექტორის წარმომადგენლები არიან უკმაყოფილო, განსაკუთრებით გაჭიანურების საკითხში, რომ ეს დავები იწელება, ეს აზიანებს მათ ბიზნესს, რიგ შემთხვევაში ქონება არის დაყადაღებული. ისინი ასევე უჩივიან იმას, რომ მოსამართლეები არ არიან კვალიფიციურნი ბიზნესსაკითხების გადაწყვეტის დროს. ამ კუთხით რა შეიძლება გაკეთდეს?***

– ეს საკითხი ბიზნესისგან ძალიან ხშირად ისმის, არსებობს რამდენიმე საინტერესო ინიციატივა ამ კუთხით, რომელიც სწორედ ამ წუხილის საპასუხოდ არის განსაზღვრული. ჩვენ ამ საკითხებში შევალთ უფრო ღრმად და შევეცდებით შევქმნათ ისეთი პლატფორმა, სადაც სწორედ ასეთი საკითხების ნაწილში იქნება აქტიური კომუნიკაცია. გვექნება კომუნიკაცია შესაბამის უწყებებთანაც, სასამართლოების მიმართულებითაც. აქ ჩვენ შევეცდებით შევქმნათ გარკვეული პლატფორმა, სადაც ამ წუხილების საპასუხოდ იქნება გარკვეული გადაწყვეტილებები მიღებული. შევეცდებით ამ კუთხით მაქსიმალურად მხარი დავუჭიროთ ბიზნესს და ის წუხილი გავიზიაროთ და მივიტანოთ სწორედ იმ ადრესატამდე, რა მიმართულებითაც ეს დგას.

***– ბიზნესსექტორის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ისინი მთავრობის მიერ გარკვეული გეგმის მომზადების პროცესში ჩართული არ არიან, შემდეგ მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს ძალიან სწრაფად და ისინი არათუ გაპროტესტებას ვერ ახერხებენ, არამედ, უბრალოდ, ვერ ასწრებენ, სწრაფად გაატარონ ესა თუ ის ცვლილება, რომელიც უკვე გადაწყვეტილი და დამტკიცებულია მთავრობის მიერ. აქ რა შეიძლება გაკეთდეს?***

– ჩვენ შეხვედრები გჭირდება ყველა მიმართულებით იმისთვის, რომ სწორედ ასეთი წუხილები, ასეთი საკითხები იქნას წამოჭრილი, რომლებსაც შემდეგ ჩვენ სათანადოდ შეგვიძლია ვუპასუხოთ. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება იყოს მსგავსი პრეცედენტები.

ნებისმიერ ბიზნესს სჭირდება გონივრული დრო იმისთვის, რომ ადაპტირებული იქნას გარკვეული ცვლილებების მიმართ. ჩვენ ძალიან ბევრი შემთხვევა ვიცით, როდესაც არსებობს ძალიან ბევრი ფორმატი, რომლებსაც სხვადასხვა სამინისტრო ხელმძღვანელობს და ისინი აქტიურად გადიან კონსულტაციებს სხვადასხვა ბიზნესჯგუფთან. დღეს სხვადასხვა ტიპის უწყებებზე წვდომა პრობლემას არ წარმოადგენს, არც ერთი უწყება დახურული არ არის. თუ იქნება ასეთი ტიპის ცალკეული შემთხვევები, სადაც შეიძლება მსგავსი ტიპის პრეცედენტები არსებობდეს, ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით, რომ ეს ნაწილიც იქნას ამოვსებული. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეეხება ბიზნესს, მაქსიმალურად იქნება მასთან განხილული, რომ მისი ჩართულობა იყოს უზრუნველყოფილი.

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან სწორედ იქ იკვეთება ის საკითხები, მაგალითად, ვადებთან დაკავშირებული, შენიშვნებთან დაკავშირებული, სხვადასხვა ინიციატივებთან თუ თუნდაც ალტერნატივებთან დაკავშირებული, რომელსაც ბიზნესი დასვამს ამა თუ იმ ინიციატივასთან დაკავშირებით.

ამიტომ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენ შეხვედრები მოგვცემს საკმაოდ საინტერესო სურათს და საკითხების იმ გარკვეულ წრეს, სადაც გვჭირდება უფრო მეტი ჩართულობა, როგორც ბიზნესომბუდსმენის აპარატს.

# შსს-მ მსხვილი ნარკორეალიზატორები დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის ბრალდებით ირანის 2 მოქალაქე თბილისში დააკავა. დაკავებულების პირადი ჩხრეკისას ამოღებულია დაახლოებით 1 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი.

როგორც შსს-ს კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილე დავით ლაცაბიძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, გამოძიება ასევე ფლობს ინფორმაციას, რომ დაკავებული პირები ნარკოტიკების გავრცელების საერთაშორისო ქსელის შემადგენელ ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდნენ.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ამოცანა ნარკოტიკის წინააღმდეგ ბრძოლაა. ჩვენი მთავარი მიზანია დროულად აღიკვეთოს გავრცელება, მაქსიმალურად შემცირდეს ნარკოტიკის მომხმარებელთა რიცხვი. ბოლო პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები ამოიღო: 2 კილოგრამამდე ჰეროინი, 4 კილოგრამამდე ოპიუმი, 100 შეკვრამდე დაფასოებული ე.წ. სირეცი, 576 ცალი ნარკოტიკული საშუალება ბუპრენორფინის შემცველი აბები, ბიოს შემცველი 500 ფირფიტა, 296 აბი ექსტაზი, 14 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება მეტადონი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის ბრალდებით, ირანის 2 მოქალაქე თბილისში დააკავეს. დაკავებულების პირადი ჩხრეკისას ამოღებულია, დაახლოებით, 1 კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი.



არსებული ინფორმაციით, დაკავებულები აღნიშნული ნარკოტიკის გასაღებას საქართველოში აპირებდნენ, თუმცა სამართალდამცველებმა ნარკორეალიზატორების განზრახვა დროულად აღკვეთეს. ასევე არსებული ინფორმაციით, დაკავებული პირები ნარკოტიკების გავრცელების საერთაშორისო ქსელის შემადგენელ ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდნენ. აღნიშნული ქსელით თურქეთი და ევროპის ქვეყნები ავღანური ნარკოტიკით მარაგდება.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს, რაც 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ასევე, 2018 წლის 21 იანვარს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, ირანის კიდევ 2 მოქალაქე დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, კანფეტის ქაღალდში დაფასოებული 3.8 კილოგრამი ოპიუმი ამოიღო. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 15-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – განაცხადა ლაცაბიძემ.

ამასთან, კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილემ ბოლო პერიოდში შსს-ს მიერ გამოვლენილ სხვა ნარკოდანაშაულებზეც ისაუბრა.

ნარკოდანაშაულთან ბრძოლის ფარგლებში ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში არაერთხელ ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება.

კერძოდ, 2017 წლის დეკემბერში გამოვლენილი ფაქტებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

სამართალდამცველებმა, თბილისში 1 პირი დააკავეს. ამოღებულ იქნა 500 აბზე მეტი ბუპრენორფინის შემცველი სუბუტექსის აბები.

ასევე, ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული საშუალების 160 აბია ამოღებული ქ. თბილისში. აღნიშნულ ფაქტზე დაკავებულია 1 პირი.

1 პირი დააკავეს „წითელ ხიდთან". ამოღებულია 3 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი.

3 პირი დააკავეს ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში. ამოღებულია 15 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი.

ასევე დააკავეს ირანის მოქალაქე. ამოღებულია 1 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი.

2018 წლის იანვარში, სხვადასხვა სახის ნარკოტიკთან ერთად, ამოღებულია 376 აბი „სუბოქსინი", 298 აბი „ექსტაზი", 7 შეკვრად დაფასოებული კოკაინი, 14 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი", ასევე, 100 გრამზე მეტი ჰეროინი, 500 ფირფიტაზე მეტი ფსიქოაქტიური ნივთიერება „ბიო", – აღნიშნული წარმოადგენს ამოღებული ნარკოტიკული საშუალებების არასრულ ჩამონათვალს. შინაგან საქმეთა სამინისტრო ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას განაგრძობს, – განაცხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე დავით ლაცაბიძემ.

## თბილისში ტრანსგენდერ მირანდა ფალავას სასტიკად სცემეს



თბილისის ცენტრში 28 იანვარს, გამთენიისას, ვაკის პარკთან ტრანსგენდერ ქალს სასტიკად სცემეს. 23 წლის მირანდა ფალავას სხვადასხვა სახის დაზიანება აქვს მიყენებული.

დაზარალებულის თქმით, თავდამსხმელი მამაკაცი იყო, რომლის გაღიზიანებაც მირანდას გენდერულმა იდენტობამ გამოიწვია.

მირანდა ფალავა გამოძიების დასრულების შემდეგ საქართველოს დატოვებას აპირებს, რადგან ის აქ გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს.

მირანდა ფალავა ყვება იმასაც, რომ მან დახმარება სთხოვა ინციდენტის ადგილზე არსებულ მაღაზიის პერსონალს, რაზეც უარი მიიღო.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძალადობას გულისხმობს. ამოღებულია ქუჩის კამერების ჩანაწერები.

## თელავში მომხდარი ავარიის შედეგად პოლიციელები დაშავდნენ




შინაგან საქმეთა სამინისტროში „ნიუპოსტს" უთხრეს, რომ თელავის მუნიციპალიტეტში მომხდარი ავარიის შედეგად დაშავებული პოლიციელები შემთხვევის დროს სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდნენ. უწყების ცნობით, გოლფის" მარკის ავტომანქანა ბოგირს შეეჯახა.

რაც შეეხება დაშავებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, პრესსამსახურის ცნობით, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მედიკოსების განცხადებით, პაციენტებს აღენიშნებათ მუცლის ღრუს დაზიანებები და ნეკნების მოტეხილობა.

## ქორწილის შემდეგ დატრიალებული ტრაგედია – ვინ არიან რიკოთის გვირაბთან ავარიაში დაღუპული ადამიანები

რიკოთის გვირაბთან ტრაგიკულად დაღუპულ 6 ადამიანს ახლობლები და მეგობრები გლოვობენ.

არსებული ინფორმაციით, გზის საპირისპირო ზოლში მოძრავი ტრაილერი მსუბუქ „მინივენის" შეეჯახა, რომელშიც ერთი ოჯახის წევრები და მათი ნათესავები ისხდნენ.



გარდაცვლილთა შორის ახალგაზრდა ცოლ-ქმარი და მათი მცირეწლოვანი ბავშვიცაა. მეგობრების თქმით, ახალგაზრდა ქალი ორსულად იყო.

საავადმყოფოში დაიღუპა ამავე ოჯახის წევრი, 19 წლის მ.ქ. სიცოცხლისთვის შეუსაბამო დაზიანებები მიიღეს ქანთარიების ნათესავებმა – 5 წლამდე ბიჭუნა დედასთან ერთად შემთხვევის ადგილზევე დაიღუპა.

ავარიის დროს დაღუპულები თბილისიდან, ახლობლის ქორწილიდან ოკუპირებულ აფხაზეთში მიემგზავრებოდნენ.

მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი 44 წლის მამაკაცი გადარჩა. რაც შეეხება ტრაილერის მძღოლს, ის დაკავებულია.

გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. აღნიშნული მუხლი ექვსიდან ათ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

## დაღუპული 22 წლის გოგონა და 5 წლის შემდეგ დაპატიმრებული ექიმი – რა მოხდა ქუთაისში

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ქალაქის ახალი მეორე სამშობიარო საავადმყოფოს მთავარ ექიმ ირაკლი მერკვილაძეს 26 იანვარს ორწლიანი პატიმრობა შეუფარდა. საქმის ძიება და სასამართლო პროცესები 5 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

საქმის მასალების თანახმად, ირაკლი მერკვილაძემ 22 წლის ვიოლეტა მარტინოვას საკეისრო კვეთა 2013 წლის 7 იანვარს ჩაუტარა, კლინიკიდან გაწერის შემდეგ კი ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა. დაღუპულის ოჯახი ექიმს უყურადღებობაში ადანაშაულებდა და მის დაპატიმრებას მოითხოვდა.

გარდაცვლილის დედა მორალური ზიანის ანაზღაურებას ითხოვს, რომელიც ვიოლეტა მარტინოვას 5 წლის შვილს გადაეცემა.

– შვილს ვერავინ გამიცოცხლებს, ირაკლი მერკვილაძე ამბობს, თითქოს ქრთამი მინდოდა. ჩემი მიზანი კი სიმართლის დადგენა იყო. ჩემი შვილის სიცოცხლე სწორედ ამ ექიმმა შეიწირა, – აღნიშნა ალა მარტინოვამ.

გარდაცვლილი პაციენტის დედის თქმით, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ ის სოციალურ ქსელში შეურაცხმყოფელ შეტყობინებებს იღებს.

– ყველა შეტყობინებას შევინახავ და სასამართლოში ვუჩივლებ. 5 წლის შვილიშვილსაც კი შეეხნენ. გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ დარბაზიდან დაცვის გარეშე ვერ გამოვედი, – ამბობს დაღუპულის დედა.

რაც შეეხება დაცვის მხარეს, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციოში გასაჩივრებას გეგმავს დაკავებული ექიმის ადვოკატი.

ირაკლი მერკვილაძის მეუღლე, რომელიც ამავე კლინიკის მეან-გინეკოლოგია, მოსამართლეზე კონკურენტების მხრიდან ზეწოლაზე საუბრობს.

– ვიოლეტა მარტინოვამ კლინიკას სახლში გაწერიდან რამდენიმე დღეში მომართა, რადგან ჯანმრთელობის მდგომარეობა არასწორი მოვლის შედეგად გაურთულდა, – აცხადებს ეკა ჩინჩალაძე, რომელიც ირწმუნება, რომ მარტინოვა პალატიდან თვითნებურად გაიპარა.

მეორე სამშობიაროს მთავარ ექიმ ირაკლი მერკვილაძის დაკავებას აპროტესტებენ კლინიკის თანამშრომლებიც, რომლებიც სპეციალური წერილობითი მიმართვის შემუშავებას გეგმავენ.

მათი თქმით, აღნიშნული საქმით საქართველოს მთავრობის პირველი პირები უნდა დაინტერესდნენ.




## ბექა რუსიას ოჯახის ადვოკატი: „ეს მასალაც საკმარისია, რომ გამოძიებამ რეაგირება მოახდინოს"

აფხაზეთის საოკუპაციო ხაზთან მეთაურის პისტოლეტიდან მოკლული ბექა რუსიას მობილურ ტელეფონში აღმოჩენილ სკანდალურ ვიდეომასალასთან დაკავშირებით ოჯახის ადვოკატმა როლანდ შონიამ განაცხადა, რომ რუსთავი 2-ში გასული სიუჟეტი საკმარისია, რათა გამოძიებამ რეაგირება მოახდინოს. თუმცა მას ჯერჯერობით არავინ დაჰკავშირებია.

„ფაქტია, რომ ეს საჯარო მასალაც საკმარისია, რათა გამოძიებამ რეაგირება მოახდინოს," – აღნიშნა ბექა რუსიას ოჯახის ადვოკატმა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ბრძოლებმა შესაძლოა კავკასიაშიც გადმოინაცვლოს?

მარიამ მჭედლიშვილი



ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების კავკასიაზე გავლენის შესახებ საუბარი მას შემდეგ გააქტიურდა, რაც თურქეთმა სირიის ჩრდილოეთში ქურთების წინააღმდეგ წამოიწყო სამხედრო ოპერაცია სახელწოდებით „ზეთისხილის რტო“ ტერორიზმთან ბრძოლის მოტივით.

დღეს ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ სამხრეთ კავკასიაში არა მხოლოდ ძალთა ბალანსის მოსალოდნელ ცვლილებაზე, არამედ იმაზეც, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების პარალელურად ბრძოლები შეიძლება დაიწყოს კავკასიაში. ყველაზე სახიფათო ადგილი ამ მხრივ მთიანი ყარაბაღია.

კავკასიელი ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ბაქომ უნდა გააძლიეროს მუშაობა ერევანთან და სტეპანაკერტთან საერთო ენის გამონახვის მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია ყარაბაღის კონფლიქტის ინტეგრაცია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში და საბრძოლო მოქმედებების განახლება მთლიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე.

აზერბაიჯანელი კომენტატორების ნაწილი მიესალმება თურქეთის მიერ ორგანიზებულ ოპერაციას და საუბრობს თურქული გამოცდილების გადმოღებაზე. ამ პირების შეფასებით, ბაქო დიდი ხანია ჩართულია კონტრტერორისტულ ომში. მოვიდა დრო, კონტრტერორისტული ოპერაციები დაიწყოს აზერბაიჯანის დროებით დაპყრობილ ტერიტორიებზე.

აზერბაიჯანელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სომხეთის ხელისუფლება ყველანაირად ეცდება, კავკასიის შესაძლო სამხედრო მოქმედებებში ჩააბას რუსეთი. ყარაბაღის თემაზე მოლაპარაკებების მოჩვენებითი პროცესის დამთავრების შემდეგ რუსეთის პოლიტიკურ ელიტასაც გაუჩნდება სურვილი, გადაწყვიტოს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის პრობლემების ნაწილი.

თუ ბაქო ამ ბრძოლას დათანხმდა, მას გარკვეულ ეტაპზე თურქეთის თანადგომის იმედი არ უნდა ჰქონდეს, იმიტომ რომ ანკარას ამჟამად თავისი მიზნები აქვს.

საბოლოო ჯამში, ძალთა ბალანსი შეიცვლება და ერთად იქნებიან აზერბაიჯანი, თურქეთი და შესაძლოა ირანიც. მოხდება რუსეთის პოლიტიკის მოდერნიზაცია.

ექსპერტები საყურადღებოდ მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ ბაქომ თავისი ფრთხილი განცხადებით მხარი დაუჭირა თურქეთის მიერ სირიაში დაწყებულ სამხედრო ოპერაციას.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელის პირით აზერბაიჯანმა განაცხადა, რომ ბაქო სრულიად აცნობიერებს ანკარის შეშფოთებას ტერორისტული მუქარების გამო. აზერბაიჯანი, როგორც ტერორიზმისაგან დაზარალებული ქვეყანა, გადაჭრით გმობს ტერორიზმის ყველა ფორმას და მხარს უჭერს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას ტერორიზმთან ბრძოლაში.

ამ განცხადებას კრიტიკა მოჰყვა. ავტორების აზრით, ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება აზერბაიჯანის პრინციპებს, რომლებსაც ის საერთაშორისო პლატფორმებზე იცავს.

ექსპერტების შეფასებით, ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით თურქეთმა გადაწყვიტა, გადაჭრას თავისთვის მტკივნეული გეოპოლიტიკური პრობლემა. თურქეთის ერთ-ერთი ამოცანაა, არ დაუშვას ახლო აღმოსავლეთში ქურთული ავტონომია.

თავისი ოპერაცია ანკარამ შეუთანხმა ვაშინგტონს, მოსკოვსა და თეირანს. თურქეთი აცხადებს, რომ არ არღვევს სირიის ტერიტორიულ მთლიანობას. დამასკო მიიჩნევს, რომ თურქეთის ახლანდელი მოქმედებები არის აგრესია სირიის სუვერენიტეტის წინააღმდეგ.

ანალიტიკოსების გათვლით, სირიაში განახლებული ომი კარგა ხანს გაგრძელდება, მით უმეტეს, რომ ვაშინგტონი აპირებს ტერორიზმთან ბრძოლის გაგრძელებას, ქურთების მხარდაჭერასა და ირანის შეკავებას.

ირანის მიმართ კარგად განწყობილი ექსპერტები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ დასავლეთ აზიაში რეგიონულ წესრიგს უკვე ირანი ამყარებს. მათი აზრით, სრული ფიასკო განიცადა ირანთან დაპირისპირებულმა საუდის არაბეთმა, რომელმაც ომი გააღვივა იემენში. ამ ექსპერტების აზრით, ირანს აქვს პოტენციალი, მშვიდობა დაამყაროს სირიაში, იემენსა და ერაყში და გახდეს რეგიონის ლიდერი.

# აშშ-მ რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციები შემოიღო




აშშ-მ რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციები შემოიღო.

სანქციები გავრცელდება მილიარდერ მორდაშევის კომპანიაზე, ტექნოპრომექსპორტის კომპანიაზე, ვნეშნეგორსერვისზე, რომლის დაქვემდებარებაშიც არის მაღაროები დონბასის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კომპანია ევროპოლისზე და ა.შ.

აშშ-ის ასეთმა ნაბიჯმა კრემლის აღშფოთება გამოიწვია. პოზიცია, ტრადიციულად, ვლადიმერ ჟირინოვსკიმ გაახმოვანა:

– ამერიკელები რუსეთს კუთხეში იმწყვდევენ, თუმცა ერთი რამ ავიწყდებათ: კუთხეში მიმწყვდეული ვირთხა შეტევაზე გადადის და იკბინება!

ჟირინოვსკის პასუხი გასცა უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა და რადიკალური პარტიის ლიდერმა ოლეგ ლიაშკომ:

– თუ ვირთხა კუთხეში მიიმწყვდიეს, მას შეტევაზე გადასვლის საშუალებას არ აძლევენ! ვირთხას ახრჩობენ, – ამბობს ლიაშკო.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე ოფიციალური განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ დამატებითი სანქციები ამერიკელთა უძლურების შედეგია.

– რუსეთი იტოვებს უფლებას, საპასუხო სანქციები განახორციელოს, – ნათქვამია განცხადებაში.

29 იანვარს ვაშინგტონში გამოქვეყნდება ახალი სია იმ რუსი მოღვაწეებისა, რომლებსაც სანქციებს დაუწესებენ. მასში პუტინთან დაახლოებული ბიზნესმენები და პოლიტიკოსები შედიან.

# ტილერსონი პოროშენკოს შეხვდა

დავოსში უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო აშშ-ის სახელმწიფო მდივან რექს ტილერსონს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა აშშ-უკრაინას შორის თანამშრომლობის გაფართოება იყო.



ტილერსონმა განაცხადა, რომ უკრაინასთან კავშირს აშშ-სათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით იმ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც დღეს შეიქმნა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ აღდგება უკრაინა-აშშ-ის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭო.

– ჩვენ დაინტერესებულნი ვართ იმით, რომ უკრაინა ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს! თქვენ საამისო პოტენციალი უდავოდ გაქვთ, – თქვა ტილერსონმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ვაშინგტონი ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რათა უკრაინამ დაძლიოს კორუფცია, გაატაროს რეალური დემოკრატიული რეფორმები, შექმნას ძლიერი არმია და უშიშროება.

# ზემანი კვლავ პრეზიდენტია



ჩეხეთში საპრეზიდენტო არჩევნები დასრულდა. მოქმედმა პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა გაიმარჯვა. მან ხმების 52% დააგროვა.

ზემანი აშკარა პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსია. ის რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმებას, აგრეთვე ყირიმის ანექსიის დაკანონებას მოითხოვს, მაგრამ ჩეხეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა და პრეზიდენტს იქ მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციები გააჩნია.

# ტერაქტი ქაბულში



ავღანეთის დედაქალაქში მორიგი ტერაქტი მოხდა. ასაფეთქებელი ნივთიერება ამჯერად სასწრაფო დახმარების მანქანაში იდო. მან საკონტროლო-გამშვები პუნქტი დაუბრკოლებლივ გაიარა და შევიდა ტერიტორიაზე, სადაც შვედეთის, დანიისა და ინდონეზიის საელჩოებია განთავსებული.

აფეთქების შედეგად 103 ადამიანი დაიღუპა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა მოძრაობა თალიბანმა აიღო. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ალბანეთში ანტისამთავრობო აქციაზე ათასობით ადამიანი გამოვიდა

ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში ანტისამთავრობო საპროტესტო აქციაზე ათასობით ადამიანი გამოვიდა. ისინი მთავრობას ნარკოტიკებით ვაჭრობასთან არასათანადო ბრძოლასა და კორუფციაში ადანაშაულებენ.

ალბანეთის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ლულზიმ ბაშამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ედი რამას გადაყენება და ახალი არჩევნების დანიშვნა მოითხოვა.

– რამამ ალბანეთი ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკოტიკების სამშობლოდ აქცია, – განაცხადა ბაშამ.

მედიის ინფორმაციით, დემონსტრაციაზე ათი ათასზე მეტი ადამიანი გამოვიდა. პროტესტის ორგანიზატორები 300 ათას მომიტინგეზე საუბრობენ, პოლიცია კი დემონსტრანტების რიცხვის დასახელებისგან თავს იკავებს.

# პოლიციამ მოსკოვში ალექსეი ნავალნი დააკავა



მოსკოვში პოლიციამ ოპოზიციონერი ალექსეი ნავალნი დააკავა. ამის შესახებ პოლიტიკოსმა „ტვიტერის“ საკუთარ მიკრობლოგში დაწერა.

„მე დამაკავეს. ამას მნიშვნელობა არ აქვს. მოდით ტვერის მოედანზე. თქვენ ჩემთვის კი არა, თქვენთვის და საკუთარი მომავლისთვის გამოდიხართ“, – დაწერა პოლიტიკოსმა.

გუშინ რუსეთის ქალაქებში ნავალნის ინიციატივით გაიმართა საპროტესტო აქცია „ამომრჩეველთა გაფიცვა“, რომელიც ამომრჩევლებს არჩევნების ბოიკოტირებისკენ მოუწოდებს. რუსეთის ქალაქებში პოლიციამ საპროტესტო აქციების 90-მდე მონაწილე დააკავა.

„ბოლო მონაცემებით, ყველაზე მეტი დაკავებულია უფაში – სულ მცირე, 28 ადამიანი. კემეროვოში დაკავებულია 15, ტომსკში – სულ მცირე, 10, მოსკოვში – 8, სანკტ-პეტერბურგში – 7 ადამიანი“, – ნათქვამია უფლებადამცველი პორტალის „ოვდ-ინფოს“ განცხადებაში.

# იტალიის სანაპირო დაცვის სამსახურმა 800-მდე მიგრანტი გადაარჩინა

ხმელთაშუა ზღვაში 27 იანვარს ჩატარებული 5 ოპერაციის ფარგლებში იტალიის სანაპირო დაცვის სამსახურმა 800-მდე მიგრანტი გადაარჩინა.

მიგრანტები, რომლებიც ევროპაში მოხვედრას ცდილობდნენ, ორი ბარჟიდან და სამი ნავიდან, მათ შორის ორი გასაბერი ნავიდან ჩამოიყვანეს. ერთ-ერთი ოპერაციის ფარგლებში იტალიის საზღვაო-სამხედრო ფლოტის ორმა ვერტმფრენმა 7 ბავშვი ტუნისში მდებარე საავადმყოფოში გადაიყვანა, რომლებსაც გადაუდებელი სამედიცინო დახმარება დასჭირდათ.

მაშველებმა წყალში ორი ცხედარიც აღმოაჩინეს.


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# სუპერლიგის ნახევარი ქუთაისის ლიდერობით დასრულდა

**დელტა-ქუთაისი 63:81**
**(17:25, 16:19, 19:14, 11:23)**

ჩემპიონატის ლიდერი ქუთაისი მარნეულის დელტას ესტუმრა, 81:63 სძლია და მეორე წრე პირველ ადგილზე დაასრულა.

საბოლოო ანგარიშის მიუხედავად, აღნიშნულ შეხვედრაში ბრძოლა იყო. შეხვედრის დასრულებამდე 6 წუთით ადრე ანგარიშში სხვაობა 3 ქულა იყო. ქუთაისელები 66:63 იგებდნენ და დელტამაც ჩამორჩენის კიდევ უფრო შემცირების რამდენიმე შანსი გაანიავა. მეტიც, დარჩენილ 6 წუთში დელტამ საერთოდ ქულის აღებაც კი ვერ მოახერხა.

ცხადია, იმერულმა კლუბმა ამით ისარგებლა და სწრაფი შეტევებით ხელჩასაჭიდი ლიდერობა მოიპოვა და მატჩი ისე ჩაამთავრა, მის გამარჯვებას საფრთხე არ დამუქრებია.

გამარჯვებულებს 18 ქულითა და 7 მოხსნით ჯონათან ლიმ ულიდერა. 15 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა აკაკი დვალიშვილმა, ხოლო აკაკი ლომოურმა შეხვედრა 14 ქულით დაასრულა. დელტაში 22 ქულით საუკეთესო იყო საბა ლობჟანიძე. 13 ქულა ნიკოლას ნილმა მოაგროვა.

**დინამო-ბათუმი 94:87 (დდ)**
**(24:7, 19:25, 22:29, 17:21, 12:5)**

როგორც იქნა, 2018 წელს პირველი გამარჯვება მოიპოვა თბილისის დინამომ. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა მიმდინარე თვეში სუპერლიგის 4 შეხვედრა წააგო და ნავსი მეორე წრის ბოლო ტურში, ბათუმთან გატეხა. დინამოელებმა გამარჯვება რთულ ბრძოლაში მოიპოვეს. შეხვედრის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, ხოლო დამატებით 5-წუთეულში ახალწვეული ალექსანდრ მიტროვიჩისა და ამერიკელი ლაველ ბოიდის შედეგიანობის წყალობით, თბილისურმა კლუბმა 94:87 გაიმარჯვა.



ამ გუნდებმა 12 იანვარს ბათუმში ითამაშეს და ის მატჩი მასპინძლებმა 77:71 მოიგეს. ამჯერად კი, დინამო მოახერხა რევანშის აღება. დედაქალაქელები დასაწყისში უკეთესად გამოიყურებოდნენ და პირველი მეოთხედი დამაჯერებლად – 24:7 მოიგეს, თუმცა შემდეგ აჭარულმა კლუბმა ლეგიონერების დახმარებით მოახერხა ჩამორჩენების გაბათილება და ბოლო პერიოდში თამაში თანაბარ კალაპოტს დაუბრუნდა.

ძირითადი დროის ბოლო წუთებზე ლიდერი რამდენჯერმე შეიცვალა, თუმცა საბოლოოდ ფრე დაფიქსირდა. დინამოელთა ახალწვეულმა, ალექსანდრ მიტროვიჩმა ბოლო წამზე გამარჯვების სამქულიანი ააცილა და ძირითადი დრო 82:82 დასრულდა. სამაგიეროდ, მიტროვიჩმა ოვერტაიმში გამოიჩინა თავი, როცა ჯერ 3 საჯარიმო ჩააგდო, რასაც მომდევნო შეტევაში კიდევ ერთი ზუსტი სროლა მოაყოლა და როცა ლაველ ბოიდმა სამქულიანი ჩააგდო, დინამომ გამარჯვება გაინაღდა.

დინამოელებს 18 ქულით მიტროვიჩმა ულიდერა. 15 ქულა ჰქონდა ლაველ ბოიდს, ხოლო გიორგი შარაბიძის ანგარიშზე 14 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა. ბათუმში 27 ქულით ილია შემოსიუკი გამოირჩა, ხოლო სპენსერ კოლისნმა შეხვედრა 20 ქულით დაასრულა.

**რუსთავი-ოლიმპი 75:72**
**(17:19, 21:18, 20:18, 17:17)**

ერთმანეთს უშუალო კონკურენტები – რუსთავი და ოლიმპი შეხვდნენ. გამარჯვების შემთხვევაში თბილისური კლუბი ქვემოქართლურს ქულებით უთანაბრდებოდა, ხოლო რუსთავისთვის მოგებას ცხრილში მე-2 ადგილი მოჰქონდა.

შეხვედრა ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მთელი მატჩის განმავლობაში თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. პირველი პერიოდი 19:17 სტუმრებმა მოიგეს. თანაბარი თამაში მეორე მეოთხედშიც გაგრძელდა. რუსთაველებმა 10-წუთეული 21:18 მოიგეს და დიდ შესვენებაზე მინიმალური სხვაობით დაწინაურდნენ 38:37.

ვერც მესამე მეოთხედში გამოიკვეთა ლიდერი და ცხადი იყო, თანაბარი ბრძოლა ბოლომდე გაგრძელდებოდა. ასეც მოხდა, ბოლო წუთზე რუსთაველებმა მცირე უპირატესობა მოიპოვეს, ოლიმპი კი შანსს ბოლო წამებამდე ინარჩუნებდა. მორის ჰილის სამქულიანმა სტუმართა ჩამორჩენა 1 ქულამდე შეამცირა, თუმცა რეზო ჩაჩანიძემ ორივე საჯარიმო ჩააგდო და რუსთავი 75:72 დააწინაურა. შეხვედრაც ამ ანგარიშით დასრულდა, რადგან დარჩენილ დროში ოლიმპმა შეტევის ორგანიზებაც კი ვერ მოასწრო.

რუსთავს 18 ქულით ბრაიან ბერნარდიმ ულიდერა. 15 ქულა რეზო ჩაჩანიძის ანგარიშზე დაგროვდა, ხოლო ადამ ბლეიზეკისა და ტაირელ ნელსონის ანგარიშზე 11-11 ქულა დაგროვდა. ოლიმპში 20 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო იყო მორის ჰილი. 15 ქულა ჰქონდა გივი ბაქრაძესა, ხოლო რევაზ როგავამ თბილისელებს 13 ქულა შესძინა.

**კაქტუსი-მგზავრები 90:82**
**(21:21, 17:16, 22:14, 30:31)**

სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატის ნახევარი კაქტუსისა და მგზავრების შეხვედრით დასრულდა. არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაქტუსელებმა მეტოქე მეორე ნახევარში გატეხეს და სოლიდურ უპირატესობას დაეუფლნენ, რის გაბათილებასაც მგზავრები ბოლო წუთებამდე ეცადა, მაგრამ ამაოდ. კაქტუსმა 90:82 გაიმარჯვა – მე-9 გამარჯვებას დაეპატრონა და ოლიმპისა და ბათუმის მსგავსად 25 ქულა დააგროვა.

შეხვედრის პირველი პერიოდი ფრედ დასრულდა. მეორე ათწუთეულიც თანაბრად წარიმართა და დიდი შესვენებისთვის კაქტუსელები მხოლოდ 1 ქულით იგებდნენ. მესამე მეოთხედი გამოდგა გარდამტეხი, რომელშიც დეანდრე პარკსისა და დავით ლომიძის შედეგიანობით კაქტუსმა 22:14 მოიგო და 9 ქულით დაწინაურდა.

ბოლო პერიოდში არჩილ ჟღენტის გაწვრთნილი გუნდის ლიდერობამ 15 ქულას მიაღწია და მატჩის ბედიც ფაქტობრივად გაირკვა. ბუბა ბერიშვილი წაგებას არ ეგუებოდა და წუთშესვენებებზე მგზავრების მოთამაშეების მომართვას ცდილობდა, თუმცა მატჩის შემობრუნება არ გამოუვიდა და შეხვედრაც კაქტუსელთა 8-ქულიანი გამარჯვებით დასრულდა.

პარკსის ანგარიშზე 26 ქულა დაგროვდა, დავით დოლიძემ კი 6 სამიანი და ჯამში 22 ქულა ჩააგდო. მგზავრებს 33 ქულით ადრიან ბოუიმ ულიდერა, ხოლო მეორე ამერიკელმა ლეგიონერმა – ტეილორ სტეფორდმა შეხვედრა 19 ქულით დაასრულა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 16 | 13 | 3 | 1381:1199 | 29 |
| 2.დინამო | 16 | 11 | 5 | 1328:1193 | 27 |
| 3.რუსთავი | 16 | 11 | 5 | 1308:1204 | 27 |
| 4.კაქტუსი | 16 | 9 | 7 | 1277:1314 | 25 |
| 5.ბათუმი | 16 | 9 | 7 | 1234:1143 | 25 |
| 6.ოლიმპი | 16 | 9 | 7 | 1232:1180 | 25 |
| 7.მგზავრები | 16 | 5 | 11 | 1222:1366 | 21 |
| 8.დელტა | 16 | 4 | 12 | 1220:1370 | 20 |
| 9.სოხუმი | 16 | 1 | 15 | 1200:1433 | 17 |

# საქართველო ძალოსნობის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს



კახი კახიაშვილი ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ფედერაციების აღიარების კომისიის წევრად აირჩია. კომისიის ფუნქცია ძალოსნობის ფედერაციაში წევრი ფედერაციების მიღება, ასევე შესაბამისი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში საერთაშორისო ფედერაციიდან გარიცხვა იქნება. კახი კახიაშვილი მუშაობას უკვე შეუდგა.

პარალელურად, საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია 2019 წლის ევროპის ჩემპიონატის სამასპინძლოდ ემზადება, რომელსაც ბათუმის ახალი სპორტის სასახლე მიიღებს. ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ევროპის ძალოსნობის ფედერაციისგან მიიღო შემოთავაზება, ევროპირველობის წლეულს, მარტში საქართველოში ჩატარების თაობაზე, რადგან წინასწარ შერჩეულმა მასპინძელმა ქვეყანამ, ალბანეთმა საორგანიზაციო საკითხები ვერ მოაწესრიგა და ევროპის ჩემპიონატის ჩატარებაზე უარი განაცხადა.

საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის აღმასკომმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა ევროპირველობის წლეულს მასპინძლობაზე, ვინაიდან 2 თვეში საორგანიზაციო საკითხების გადაჭრა ვერ მოხერხდებოდა. შესაბამისად, ფედერაცია და კულტურისა და სპორტის სამინისტრო წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით აგრძელებს მზადებას 2019 წლის მარტში, ბათუმის ახალ სასახლეში ევროპის ჩემპიონატის მისაღებად. ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთეს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძემ და ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახი კახიაშვილმა.

# ნოიერმა არ იცის, მოედანს როდის დაუბრუნდება



მიუნხენის ბაიერნის მეკარე მანუელ ნოიერი ერთ-ერთ ინტერვიუში საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საუბრობს და აღნიშნავს, რომ თავს გაცილებით უკეთ გრძნობს. 31 წლის მეკარის განცხადებით, რეაბილიტაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და მომავალს ოპტიმისტურად უყურებს.

**მანუელ ნოიერი:**

– შემიძლია ვთქვა, რომ საქმე ძალიან კარგად მიდის. ტკივილს უკვე აღარ განვიცდი. ვფიქრობ, რომ სწორ გზაზე ვდგავარ. მომავალი რამდენიმე კვირის განმავლობაში, ჩემი მიზანია ბევრი სიარული და სხეულის მასის გაზრდა. ვმუშაობ ველო-სავარჯიშო დანადგარებზე, ასევე მთლიანი სხეულისათვის ვასრულებ ძალისმიერ ვარჯიშებს, მიმაჩნია რომ კარგ ფიზიკურ ფორმაში ვიმყოფები.

თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. რეაბილიტაციის პროცესის დროს მე მუდამ ახალ მიზანს ვისახავდი და ამ მიმართულებით მივდიოდი. ასევე ხშირად ვესწრები, კლუბის მიერ „ალიანც არენაზე" გამართულ შეხვედრებს, მოხარული ვარ გუნდის მიერ მიღწეული პროგრესით. ჩვენს წინაში მკაფიო გამოწვევებია და ვფიქრობ, რომ მიმდინარე საფეხბურთო სეზონში, ჩვენზე დაკისრებულ სამუშაოს თავს კარგად ვართმევთ.

რა თქმა უნდა, ჯერჯერობით არ ვიცი, როდის დავბრუნდები მოედანზე. აუცილებელია საჭირო მუშაობის გაგრძელება და პროგრესირება. მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. ამ სეზონში მოედანზე აუცილებლად გავალ. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას სვენ ულრაიხთან დაკავშირებით, შემიძლია ვთქვა, რომ მისით ძალინ გახარებული ვარ. ჩვენ ერთად ბევრს ვარჯიშობდით. ჩანს, შესრულებულ სამუშაოს შედეგი მოაქვს. სვენი შესანიშნავი მეკარეა. ამას მოედანზეც ამტკიცებს და თავის საქმეს იდეალურად აკეთებს.

# შედეგები

## 27 იანვარი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ასოციაციის თასი**

პიტერბრო-ლესტერი ..................... 1:5
მიდლსბრო-ბრაიტონი ................... 0:1
მილუოლი-როჩდეილი ................... 2:2
მილტონი-ქოვენთრი ...................... 0:1
ნოთსი-სუონსი ............................... 1:1
საუთჰემპტონი-უოტფორდი ........ 1:0
უიგანი-ვესტ ჰემი .......................... 2:0
ჰადერსფილდი-ბირმინგემი .......... 1:1
ჰალი-ნოტინგემი ........................... 2:1
შეფილდი-პრესტონი .................... 1:0
ნიუპორტი-ტოტენჰემი .................. 1:1
ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი ......... 2:3

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-ფულემი ......................... 1:3
ბრენტფორდი-ნორვიჩი ................. 0:1
ბრისტოლი-ქპრ ............................. 2:0
იფსვიჩი-ვულვზი ........................... 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

დეპორტივო-ლევანტე .................... 2:2
ვალენსია-რეალი .......................... 1:4
მალაგა-ხირონა ............................ 0:0
ვილიარეალი-სოსიედადი ............... 4:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 20 | 17 | 3 | 0 | 57-9 | 54 |
| 2.ატლეტიკო | 20 | 12 | 7 | 1 | 29-9 | 43 |
| 3.ვალენსია | 21 | 12 | 4 | 5 | 42-25 | 40 |
| 4.რეალი | 20 | 11 | 5 | 4 | 43-19 | 38 |
| 5.ვილიარეალი | 21 | 11 | 4 | 6 | 32-24 | 37 |
| 6.სევილია | 20 | 10 | 2 | 8 | 26-28 | 32 |
| 7.ეიბარი | 21 | 8 | 5 | 8 | 26-33 | 29 |
| 8.სელტა | 20 | 8 | 4 | 8 | 35-28 | 28 |
| 9.ხირონა | 21 | 7 | 7 | 7 | 29-29 | 28 |
| 10.ხეტაფე | 20 | 7 | 6 | 7 | 25-20 | 27 |
| 11.ბილბაო | 21 | 6 | 9 | 6 | 24-23 | 27 |
| 12.ბეტისი | 20 | 8 | 3 | 9 | 33-41 | 27 |
| 13.ლეგანესი | 19 | 7 | 4 | 8 | 17-19 | 25 |
| 14.ესპანიოლი | 20 | 6 | 6 | 8 | 16-25 | 24 |
| 15.სოსიედადი | 21 | 6 | 5 | 10 | 36-40 | 23 |
| 16.ლევანტე | 21 | 3 | 10 | 8 | 18-30 | 19 |
| 17.ალავესი | 20 | 6 | 1 | 13 | 16-29 | 19 |
| 18.დეპორტივო | 21 | 4 | 5 | 12 | 24-46 | 17 |
| 19.ლას პალმასი | 20 | 4 | 2 | 14 | 16-47 | 14 |
| 20.მალაგა | 21 | 3 | 4 | 14 | 14-34 | 13 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ბარსელონა ბ-გრანადა .................. 3:0
რაიო-ლორკა ................................. 5:1
რეუსი-ოვიედო .............................. 0:0
ალბასეტე-ალკორკონი .................. 2:0
კადისი-ლუგო ................................ 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-ჰოფენჰაიმი ..................... 5:2
დორტმუნდი-ფრაიბურგი ............. 2:2
ლაიპციგი-ჰამბურგი ...................... 1:1
კიოლნი-აუგსბურგი ....................... 1:1
შტუტგარტი-შალკე ....................... 0:2
ვერდერი-ჰერტა ............................ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 20 | 16 | 2 | 2 | 49-16 | 50 |
| 2.შალკე | 20 | 9 | 7 | 4 | 32-25 | 34 |
| 3.აინტრახტი | 20 | 9 | 6 | 5 | 26-20 | 33 |
| 4.ლაიპციგი | 20 | 9 | 5 | 6 | 32-29 | 32 |
| 5.დორტმუნდი | 20 | 8 | 7 | 5 | 42-27 | 31 |
| 6.ლევერკუზენი | 19 | 8 | 7 | 4 | 39-27 | 31 |
| 7.გლადბახი | 20 | 9 | 4 | 7 | 30-32 | 31 |
| 8.აუგსბურგი | 20 | 7 | 7 | 6 | 29-26 | 28 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 20 | 7 | 6 | 7 | 31-32 | 27 |
| 10.ჰანოვერი | 19 | 7 | 6 | 6 | 28-29 | 27 |
| 11.ჰერტა | 20 | 6 | 8 | 6 | 27-27 | 26 |
| 12.ფრაიბურგი | 20 | 5 | 9 | 6 | 22-35 | 24 |
| 13.ვოლფსბურგი | 19 | 3 | 11 | 5 | 22-24 | 20 |
| 14.მაინცი | 19 | 5 | 5 | 9 | 24-33 | 20 |
| 15.შტუტგარტი | 20 | 6 | 2 | 12 | 16-26 | 20 |
| 16.ვერდერი | 20 | 3 | 8 | 9 | 16-25 | 17 |
| 17.ჰამბურგი | 20 | 4 | 4 | 12 | 16-29 | 16 |
| 18.კიოლნი | 20 | 3 | 4 | 13 | 15-34 | 13 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-კილი ................................ 0:0
დუისბურგი-ჰადენჰაიმი ................ 3:3
კაიზერი-ფორტუნა ........................ 1:3

**იტალია. სერია ა**

სასუოლო-ატალანტა ..................... 0:3
კიევო-იუვენტუსი .......................... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 22 | 18 | 2 | 2 | 52-15 | 56 |
| 2.ნაპოლი | 21 | 17 | 3 | 1 | 45-13 | 54 |
| 3.ლაციო | 21 | 14 | 4 | 3 | 56-25 | 46 |
| 4.ინტერი | 21 | 12 | 7 | 2 | 36-16 | 43 |
| 5.რომა | 21 | 12 | 5 | 4 | 32-16 | 41 |
| 6.სამპდორია | 21 | 10 | 4 | 7 | 40-31 | 34 |
| 7.ატალანტა | 22 | 9 | 6 | 7 | 34-27 | 33 |
| 8.მილანი | 21 | 9 | 4 | 8 | 27-28 | 31 |
| 9.უდინეზე | 21 | 9 | 2 | 10 | 34-31 | 29 |
| 10.ტორინო | 21 | 6 | 11 | 4 | 29-28 | 29 |
| 11.ფიორენტინა | 21 | 7 | 7 | 7 | 30-24 | 28 |
| 12.ბოლონია | 21 | 8 | 3 | 10 | 26-30 | 27 |
| 13.კიევო | 22 | 5 | 7 | 10 | 21-39 | 22 |
| 14.სასუოლო | 22 | 6 | 4 | 12 | 14-34 | 22 |
| 15.ჯენოა | 21 | 5 | 6 | 10 | 16-23 | 21 |
| 16.კალიარი | 21 | 6 | 2 | 13 | 19-33 | 20 |
| 17.კროტონე | 21 | 5 | 3 | 13 | 16-38 | 18 |
| 18.სპალი | 21 | 3 | 7 | 11 | 22-39 | 16 |
| 19.ვერონა | 21 | 3 | 4 | 14 | 18-44 | 13 |
| 20.ბენევენტო | 21 | 2 | 1 | 18 | 13-46 | 7 |

**იტალია. სერია ბ**

აველინო-კრემონეზე ...................... 0:0
ბარი-ემპოლი ................................ 0:4
ვენეცია-ჩეზენა ............................. 1:0
ვირტუსი-ფოჯა ............................. 1:2
კარპი-სპეცია ................................ 2:1
პალერმო-ბრეშა ........................... 2:0
პარმა-ნოვარა ............................... 3:0
პრო ვერჩელი-ასკოლი ................... 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-მონპელიე ............................... 4:0
ანჟე-ამიენი .................................. 1:0
გენგამი-ნანტი ............................... 0:3
მეცი-ნიცა ..................................... 2:1
სტ.ეტიენი-კაენი ........................... 2:1
ტულუზა-ტრუა .............................. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 23 | 19 | 2 | 2 | 72-17 | 59 |
| 2.ლიონი | 22 | 14 | 6 | 2 | 51-22 | 48 |
| 3.მარსელი | 22 | 14 | 5 | 3 | 45-22 | 47 |
| 4.მონაკო | 22 | 14 | 4 | 4 | 51-22 | 46 |
| 5.ნანტი | 23 | 11 | 4 | 8 | 22-21 | 37 |
| 6.ნიცა | 23 | 10 | 4 | 9 | 29-33 | 34 |
| 7.მონპელიე | 23 | 7 | 10 | 6 | 20-19 | 31 |
| 8.რენი | 23 | 9 | 4 | 10 | 28-32 | 31 |
| 9.გენგამი | 23 | 8 | 5 | 10 | 24-32 | 29 |
| 10.დიჟონი | 23 | 8 | 4 | 11 | 33-46 | 28 |
| 11.სტრასბური | 22 | 7 | 6 | 9 | 27-37 | 27 |
| 12.კაენი | 23 | 8 | 3 | 12 | 15-26 | 27 |
| 13.ბორდო | 22 | 7 | 5 | 10 | 24-31 | 26 |
| 14.სტ.ეტიენი | 23 | 7 | 5 | 11 | 22-38 | 26 |
| 15.ამიენი | 23 | 7 | 4 | 12 | 20-25 | 25 |
| 16.ანჟე | 23 | 5 | 10 | 8 | 26-32 | 25 |
| 17.ტრუა | 23 | 7 | 3 | 13 | 22-32 | 24 |
| 18.ტულუზა | 23 | 6 | 5 | 12 | 21-32 | 23 |
| 19.ლილი | 22 | 6 | 4 | 12 | 19-33 | 22 |
| 20.მეცი | 23 | 5 | 3 | 15 | 20-39 | 18 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე ავრი-ნიმი ............................... 2:1
აიაჩო-ტური .................................. 2:1

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

გრონინგენი-ერაკლესი ................... 3:3
ზვოლე-ვიტესი .............................. 1:2
ტვენტე-პსვ ................................... 0:2
ბრედა-ვენლო ................................ 0:1

**პორტუგალია. ლიგის თასი**

**ფინალი**

სეტუბალი-სპორტინგი ......... 1:1(4:5პ)

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-კილმანროკი .................. 3:1
ჰამილტონი-დანდი ........................ 1:2
სელტიკი-ჰიბერნიანი .................... 1:0
სტ.ჯონსონი-პარტიკი ................... 1:3
ჰართსი-მოზერველი ....................... 1:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

შარლერუა-ანტვერპენი ................. 1:1
ბევერენი-ვარეგემი ....................... 2:2
კორტრაიკი-ეუპენი ....................... 0:0
გენკი-სტ.ტრუიდენი ....................... 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კერკირა-პლატანიასი .................... 2:0
აპოლონი-პანათინაიკოსი .............. 0:0
აეკი-ლამია ................................... 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ალანია-ბურსა .............................. 3:1
გიოზთეფე-ქაისერი ....................... 1:1
გალათასარაი-ოსმანლი ................. 2:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ჰოლანდიელ დედას შვილის ჯინებისგან გათავისუფლებისთვის ასამართლებენ



ნიდერლანდების მკვიდრი ქალბატონი, რომელიც შეეცადა, თავისი შვილის სხეულიდან ჯინები გამოედევნა, ბავშვის მიმართ სასტიკ მოპყრობაში დაადანაშაულეს.

25 იანვარს ნიდერლანდების ქალაქ რუმონდში გაიმართა სასამართლო სხდომა, რომელზეც განიხილებოდა საქმე. ამ ქვეყანაში ეს პირველი ასეთი შემთხვევაა.

იმისთვის, რომ ცხრა წლის შვილი ბოროტი სულებისგან გაეთავისუფლებინა, 39 წლის წარმოშობით მაროკოელმა ქალმა მას ხელები გავარვარებულ ღუმელში შეაყოფინა. გარდა ამისა, მან ბავშვს ყურები ბამბით გამოუტენა და სმენა დაუზიანა. 2016 წლიდან მოყოლებული, ბავშვი გაშვილებულია.

ქალის ადვოკატმა განაცხადა, რომ მისი სასტიკ მოპყრობაში დადანაშაულება არ შეიძლება, ვინაიდან ეს ქმედება ბავშვისთვის ზიანის წინასწარგანზრახვით მიყენებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში კი ასე არ არის, ვინაიდან მას მიაჩნდა, რომ ამით შვილს ეხმარებოდა.

მოსალოდნელია, რომ სასამართლო ანთროპოლოგის ჩვენებას მოისმენს, რომელიც წარმოადგენს მუსლიმანების წარმოდგენას სხეულიდან ავი სულების გამოდევნაზე.



## ყაზახეთში ცხოველები იყინებიან

ყაზახეთის მცხოვრებლები სულ უფრო ხშირად პოულობენ გაყინულ ცხოველებს, რომლებიც ძლიერ ყინვებს ემსხვერპლნენ. ინტერნეტში გამოქვეყნებულმა ამ მოვლენის ამსახველმა ვიდეოჩანაწერმა საერთაშორისო მედიის ყურადღება მიიპყრო.

კურდღელი, რომელიც ერთ-ერთ ვიდეორგოლშია ნაჩვენები, როგორც ჩანს, იმ დროს დაიღუპა, როდესაც წინაღობის გადალახვას ცდილობდა. მეორე ვიდეოში წარმოდგენილია ძაღლი, რომელიც იმ დროს გაიყინა, როდესაც მაღალ თოვლში ჩარჩა და იქიდან თავის დაღწევა ვერ მოახერხა.

მიმდინარე წლის დასაწყისიდან ყაზახეთის ტერიტორიაზე ანომალიური ყინვებია. ჰაერის ტემპერატურა მინუს 45 გრადუსამდე დაეცა. ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებებს დახმარებისთვის ასეულობით მოქალაქემ მიმართა.

## იაპონელმა ველოსიპედით თოვლის ქალთან ერთად გაისეირნა



იაპონელმა თოვლისგან მეგობარი გოგონა შექმნა, ველოსიპედით მასთან ერთად გაისეირნა და შემდეგ ამის ამსახველი ვიდეო ტვიტერში საკუთარ აკაუნტში განათავსა.

ინტერნეტმომხმარებელმა ვიდეორგოლს გაუკეთა წარწერა: „არ მყავს მეგობარი გოგონა და სახლისკენ მიმავალი ხელს ვერავის ჩავკიდებ. ასე რომ, თოვლისგან ჩემთვის გავაკეთე მეგობარი გოგონა და მასთან ერთად ველოსიპედით გავისეირნე“.

სამ დღეში ვიდეორგოლმა 3.95 მილიონი ნახვა მოაგროვა, მისმა ტვიტმა 226 ათასი მოწონება და თითქმის 70 ათასი გაზიარება მიიღო. ინტერნეტმომხმარებლებმა მამაკაცის ჩანაფიქრს საინტერესო უწოდეს და ბევრი დაინტერესდა, აკოცა თუ არა მან თოვლის გოგონას. ამაზე მან უპასუხა, რომ ბოლომდე არ იყო იმაში დარწმუნებული, თუ რომელი მხრიდან ჰქონდა მას სახე და ამიტომ არ უკოცნია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი — საქართველომ მეტოქედ ლიტვა აირჩია



საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები წლის პირველ ამხანაგურ შეხვედრას თბილისში 24 მარტს გამართავს. ვლადიმირ ვაისის გუნდი ლიტვის ეროვნულ ნაკრებს უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ ეროვნულ გუნდს 2 თებერვალს აზერბაიჯანის ნაკრებთან უნდა ეთამაშა, მაგრამ ეს არ იყო უეფას სათამაშო ფანჯრის დღე და ვაისი ყველა ფეხბურთელს ვერ შეკრებდა, ამიტომ გადაიდო ან ჩაიშალა. სამაგიეროდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უმალ იშოვა ახალი სპარინგ-პარტნიორი.

ორივე გუნდისთვის აღნიშნული შეხვედრა უეფას ერთა ლიგის გათამაშების მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენს. ლიტვის ნაკრები ც დივიზიონის მეოთხე ჯგუფში რუმინეთის, სერბეთისა და ჩერნოგორიის ნაკრებებს შეხვდება. საქართველოს ნაკრები დ დივიზიონის პირველ ჯგუფში ლატვიას, ყაზახეთსა და ანდორას დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ უეფას ერთა ლიგის გათამაშება მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყება.

## პიონჩანი უსაფრთხო ქალაქად დასახელდა




საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ თომას ბახის თქმით, ოლიმპიური თამაშების პერიოდში პიონჩანი იქნება ყველაზე უსაფრთხო ქალაქი მსოფლიოში. ბახი დარწმუნებულია, რომ ზამთრის ოლიმპიადის მონაწილეები პიონჩანში თავს უსაფრთხოდ იგრძნობენ და საუკეთესო გარემოში იასპარეზებენ.

მან კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება ჩრდილოეთ კორეასთან მიღწეული შეთანხმების მნიშვნელობაზე და ოთხმხრივ მემორანდუმს „ისტორიული დოკუმენტი“ უწოდა. ამ შეთანხმების თანახმად, ორივე კორეის სპორტსმენები ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე ერთი დროშით გამოვლენ. გარდა ამისა, სამხრეთ კორეის ჰოკეისტ ქალთა ნაკრებში რამდენიმე ჩრდილოკორეელი მოთამაშე მიიწვიეს.

ოლიმპიური თამაშები 9-25 თებერვალს გაიმართება. მსოფლიოს 90 ქვეყნის ოლიმპიელები სპორტის 7 სახეობის 15 დისციპლინაში გაითამაშებენ მედლების 102 კომპლექტს.

პიონჩანში საქართველო 4 სპორტსმენით იქნება წარმოდგენილი.

## ლევან გორგაძე იმპერატორის თასის მფლობელია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მქონე ქართველმა სეკიტორმა იუშო (ჩემპიონობა) აღმოსავლეთის მე-9 მაეგაშირა შოჰოძანთან გაიფორმა. თუმცა, ფეარ პლეის წესები ბოლო დღესაც დაიცვა და მეტოქე ენდო დაამარცხა. შედეგად ქართველ სუმოისტს 14 მოგება და 1 მარცხი დაუგროვდა.

პროფესიულ სუმოში ჩემპიონთა სია 1909 წლიდან აითვლება, ქართველი მებრძოლი კი მხოლოდ მე-3 ევროპელი გახდა, რომელმაც იმპერატორის თასი დაიმსახურა.

პირველად აღნიშნულ წარმატებას 2008 წლის მაისში ბულგარელმა კოტოოშუმ მიაღწია, 2012 წლის იანვარში კი – ესტონელმა ბარუტომ. საინტერესოა, რომ ორივე აღნიშნული სუმოისტი ოძეკის წოდებას ატარებდა, ლევანმა კი ტრიუმფი დასავლეთის მე-3 მაეგაშირას ტიტულით იზეიმა, რაც მის შედეგს კიდევ უფრო დასაფასებელს ხდის.

სათქმელია ისიც, რომ 21-ე საუკუნეში ასევე მხოლოდ მესამედ მოხდა, რომ იმპერატორის თასი რიგითმა მაეგაშირამ დაიმსახურა. 2001 წლის სექტემბერში ჩემპიონობას აღმოსავლეთის მე-2 მაეგაშირა კოტომიცუკი გამორჩა, 2012 წლის მაისში კი სენსაცია დასავლეთის მე-7 მაეგაშირა კიოკუტენჰომ მოახდინა.

გეტყვით, რომ ტოჩინოშინის პროფესიულ სუმოში დებიუტი 2006 წლის მარტში ჰქონდა და უკვე 2008 წლის მაისში მან ელიტურ მაკუუჩი დივიზიონს უწია. კარიერის განმავლობაში, ტოჩინოშინს გასაქანს ტრავმები არ აძლევდა, რის გამოც მას სერიოზული უკუსვლა ჰქონდა და 2014 წელს რანგით მე-3 დივიზიონ მაკუშიტადან ხელახალი აღზევება მოუხდა.

გორგაძემ ზედიზედ 4 ტურნირი მოიგო, 2014 წლის ნოემბერში ელიტას დაუბრუნდა და მას შემდეგ უძლიერესთა შორის ტრიალებს. ქართველ სუმოისტს იმპერატორის თასთან ერთად შუკუნშოსა და კანტოშოს სპეციალური პრიზები გადასცეს. კანტოშო უკვე მეექვსედ მიიღო, ასევე ერთხელ აქვს მიღებული გიონშო. ჩვენებურის აქტივში 2 კინბოშიც არის იოკოძუნების დამარცხებისთვის.

ჰაცუ ბაშოზე მიღწეული ისტორიული წარმატების მერე ტოჩინოშინის, სავარაუდოდ, სეკივაკეს წოდებას მიიღებს, რაც ნიშნავს, რომ სუმოს იერარქიაში მეშვიდე კაცი გახდება. ლევანი კარიერის განმავლობაში სეკივაკე ადრეც ყოფილა, მხოლოდ ერთი ტურნირით, რადგან პირველივე ბაშოზე დადებითი ბალანსი ვერ გაახერხა და დააქვეითეს. იმედია, ამჯერად ჩვენებური დიდხანს შეინარჩუნებს წოდებას და უფრო მაღალ იერარქიაზეც იფიქრებს. მაღლა კი მხოლოდ ოძეკები და იოკოძუნები არიან.

**ლევან გორგაძე:**

– ჩემს კარიერაში უდიდესი მომენტია. ძალიან ბედნიერი ვარ. მაშინ, როდესაც ტრავმის გამო, მაკუუჩი დივიზიონთან გამოთხოვება მომიწია, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. კარიერის დასრულებაზე არაერთხელ მიფიქრია, მაგრამ დავმშვიდდი, კლინიკა დავტოვე და მართალია, რეიტინგში ძალიან დავქვეითდი, ჩემი შეხედულებები მკვეთრად შეიცვალა. მინდოდა, ერთხელ მაინც „გამესროლა“. ჩემს ბედნიერებაში აღმზრდელებმა და მეუღლემ დიდი როლი ითამაშეს.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## ასტროპროგნოზი 29 იანვარი



**ვერძი** – პოზიტიური დღეა. ენერგია გემატებათ. ილუზიებისგან გათავისუფლდით. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. საქმე, რომელსაც ხელს მოჰკიდებთ, წარმატებით მოგვარდება. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. ნებისმიერ ფასად სიმშვიდის შენარჩუნება გმართებთ. **კირჩხიბი** – ახალგაცნობილ ადამიანთან გულახდილი ნუ იქნებით. სიზმარი წინასწარმეტყველური იქნება. **ლომი** – ქალაქგარეთ გასვლისაგან თავი შეიკავეთ. მოსალოდნელია კონფლიქტი ხელმძღვანელობასთან. **ქალწული** – ძალზე აქტიური და საქმიანი დღეა. მიუხედავად მცირეოდენი დაბრკოლებებისა, დიდ წარმატებებს მიაღწევთ. **სასწორი** – თქვენი გეგმების შესახებ ნურავის უამბობთ, შესაძლოა, მათ განხორციელებას ვინმემ ნებსით თუ უნებლიეთ ხელი შეუშალოს. **ღრიანკალი** – ქალაქგარეთ გასვლისაგან თავი შეიკავეთ. საქმიან პარტნიორს პრეტენზიებს ნუ წაუყენებთ. **მშვილდოსანი** – შესაძლოა, ახალი, თქვენთვის უცნობი საქმის კეთება მოგიხდეთ. საბოლოო შედეგი მხოლოდ თქვენს შრომისმოყვარეობაზე იქნება დამოკიდებული. **თხის რქა** – ოჯახში ფსიქოლოგიური კლიმატი მთლიანად თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. ემოციები და საუბრის მანერა აკონტროლეთ. **მერწყული** – ღირსების გრძნობა შეინარჩუნეთ, საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **თევზები** – მოემზადეთ აქტიური მუშაობისათვის. იყავით მობილიზებული და ინიციატივიანი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## სკანვორდი



1. ჩოგბურთის სათამაშო ჩოგანი; 2. ფინური აბანო; 3. თვითნებობასა და ძალადობაზე დამყარებული მმართველობა; 4. „გველის ...“; 5. ... კალანდაძე; 6. იუპიტერის თანამგზავრი; 7. მინერალი; 8. ყვავილი; 9. ერთ-ერთი მშობელი; 10. მუდამ, ყოველთვის; 11. ... პაჩინო; 12. ფრანგი მწერალი (XX ს.); 13. შვლის ნაშიერი; 14. ერთ-ერთი კონტინენტის ნაწილი; 15. ტიკის პატარა მილი ღვინის გადმოსასხმელად; 16. „ოტელოს“ პერსონაჟი; 17. სხვადასხვა სახეობის ორი ორგანიზმის თანაცხოვრება; 18. ვარსკვლავისებური; 19. მდინარე საფრანგეთში; 20. აფროდიტეს ერთ-ერთი ეპითეტი; 21. ძუნწი; 22. სამაგიდო თამაში; 23. იგივეა, რაც მსუნაგი; 24. მცირე ზომის პარაზიტი ცხოველი; 25. მცენარე წვრილი, შავი ნაყოფით; 26. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 27. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 28. საწინდარი; 29. ... ბერიმორი; 30. აკრძალვა; 31. ესტონელი მოჭადრაკე ქალი; 32. გეომეტრიული სხეული.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დნეპრი; 2. ქართუ; 3. დოში; 5. ცეზურა; 6. შხარა; 7. რეტორტა; 11. ნუნისი; 13. გრაფიკა; 14. ბარჯი; 15. პოლიცია; 16. კომპასი; 17. ბაკარა; 19. „ელესა“; 20. ქადა.

**თარაზულად:** 1. დუქარდი; 4. ოკაცე; 8. შველი; 9. „ზარა“; 10. პითონი; 12. „როკფორი“; 14. ბაია; 15. პამპლონა; 16. კურსი; 18. ონისე; 21. კაკაო; 22. სურდინა; 23. სორენტო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ყელი; 2. აბე; 3. ჰამილტონი; 4. იალტა; 5. „მაესტრო“; 8. ბორი; 9. მიუსერა; 10. საფიჩხია; 12. სლენგი; 13. ვალსი; 15. სტეპი.

**თარაზულად:** 1. ყეენობა; 6. დაბახანა; 7. ლობიო; 10. სპიჩი; 11. ხრამი; 13. ვისკი; 14. კასიო; 16. ნომი; 17. „იროკეზი“; 18. კრუიფი.

## მიშო სულუხია რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოხვდა



მომღერალი მიშოს სულუხია რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოხვდა.

ინფორმაცია მომღერალმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა და ერთგულ მსმენელსა და მეგობრებს შეატყობინა, რომ მუხლის ტრავმა მიიღო.

შეუშლის თუ არა ტრავმა მომღერალს ხელს დაგეგმილი კონცერტის გამართვაში, ამ ეტაპზე უცნობია.

## მეფე ერეკლეს საფლავი ბანანებით შეამკეს



სვეტიცხოველში მეფე ერეკლე მეორის გარდაცვალების დღეს მისი საფლავის კურთხევა გაიმართა. მსახურება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ შეასრულა.

მეფის განსასვენებელი კანფეტებით, ბანანებით, მანდარინებითა და მსხლებით შეამკეს.

ფოტო ინტერნეტში გავრცელდა, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია:

**რეზო შატაკიშვილი:** „ცოცხალი იყო ერეკლე და ქლიავს უშენდნენ, მოკვდა და ბანანი დააყარეს“.

**გიორგი ონიანი:** „იქნება ბანანი უყვარდა, ცხონებულს.“

**ალექსანდრე ლუკავა:** „აუფ, კანფეტებზე ხომ გიჟდებოდა საერთოდ“.

**კახა ასკურავა:** „მანდარინი კაი, მარა ბანანიც უყვარდა ცხონებულს?“

**ლევან სებისკვერაძე:** „ჩემი ბებერი ერეკლეს საფლავზე ნახეთ, რა უქნიათ ამ ქაჯებს და „მეტი პოზიტივი ეროოს“ დამლაიქებლებს“.

**თინათინ მეიფარიანი:** „იმედს ვიტოვებ, დავით აღმაშენებელს ვერ გაუბედავენ“.

## თამარ სხირტლაძის ცეკვა ინტერნეტჰიტად იქცა



თამარ სხირტლაძე 89 წლისაა. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობის ცეკვა ინტერნეტში გავრცელდა და ნამდვილ ჰიტად იქცა.

შვილის თაზო თოლორაიასა და მეუღლის კოტე თოლორაიას გარდაცვალების მიუხედავად, მსახიობი თავის ტრაგედიასა და სატკივარს არავის ახვევს თავს და ცდილობს, თავისი სიძლიერით სხვა შვილმკვდარი დედებისა და ქვრივი ქალბატონებისთვის მაგალითი გახდეს.

თამარ სხირტლაძის ცეკვას ათასობით ნახვა და უამრავი თბილი და დადებითი კომენტარი აქვს.

## ნინო სურგულაძის „კარმენით“ ბელგიის სამეფო ოჯახი აღფრთოვანდა



მსოფლიოში ცნობილმა ქართველმა ოპერის მომღერალმა ნინო სურგულაძემ ბელგიაში ლიეჟის სამეფო თეატრში საპრემიერო სპექტაკლში იმღერა.

ოპერა „კარმენში“ ქართველმა მომღერალმა მთავარი პარტია შეასრულა. სპექტაკლში კიდევ ერთი ქართველი, პაპუნა ჭურაძე, მონაწილეობდა. პრემიერას იტალიელი სპერანცა სკაპუჩი დირიჟორობდა, რომელმაც ახლახან ვენის ბალს უდირიჟორა.

პრემიერას, რომელმაც წარმატებით ჩაიარა, ბელგიის სამეფო ოჯახი – მეფე ალბერტი და დედოფალი პაოლა და მისი უდიდებულესობა სამეფო პრინცესა კლერი ესწრებოდნენ. პრინცესა „კარმენის“ მეოთხე აქტს შვილებთან ერთად კულისებიდან ადევნებდა თვალს.

მაყურებელმა შემოქმედებითი ჯგუფი მხურვალე აპლოდისმენტებით დააჯილდოვა, სამეფო ოჯახმა კი სურვილი გამოთქვა, მონაწილეებს პირადად შეხვედროდა.

მეფე ალბერტმა საუბრისას მთავარი პარტიის შემსრულებელ ნინო სურგულაძესთან თავისი აღფრთოვანება გამოხატა და აღნიშნა, რომ ოპერა „კარმენს“ პირველად დაესწრო.

## სამგლოვიარო განცხადებები

კომპანია „NATIANNA LP“-ის წარმომადგენლობა ამიერკავკასიაში ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ კომპანიის თანამშრომელ ვერიკო მორჩაძეს გარდაეცვალა მამა

**ალექსანდრე მორჩაძე**

კომპანიის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## მამა სერაფიმემ კრემლში გამოსვლაზე უარი განაცხადა



სოფელ ქანდის 13 ასურელი მამის სახელობის ეკლესიის მღვდელთმსახური სქემარქიმანდრიტი სერაფიმ ბით-ხარიბი რუსეთში იმყოფება, სადაც მგალობელთა გუნდთან ერთად მოსკოვში არამეულ ენაზე შექმნილ საგალობლებს ასრულებს.

მამა სერაფიმე და ქანდის 13 ასურელი მამის სახელობის მონასტრის გუნდი არამეულ ენაზე შექმნილ საგალობლებს საერთაშორისო ფესტივალზე წარადგენს. ანსამბლმა მოსკოვში გამართულ სამ კონცერტში მონაწილეობა უკვე მიიღო, სადაც შესრულდა სქემარქიმანდრიტ სერაფიმ ბით-ხარიბის მიერ როგორც არამეულ, ასევე ქართულ-არამეულ ენაზე შექმნილი საგალობლები.

ანსამბლმა, მამა სერაფიმეს გადაწყვეტილებით, კრემლის დარბაზში გამოსვლაზე უარი თქვა და ორგანიზატორები იძულებული გახდნენ, კონცერტი სხვაგან გადაეტანათ.

როგორც მამა სერაფიმემ ჟურნალისტებს განუცხადა, მონასტრის გუნდს ფესტივალებსა და კონცერტებზე მიწვევა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან აქვს. უახლოეს პერიოდში ქანდელი მგალობლები ლიტვასა და შვეიცარიას ესტუმრებიან:

– ძალიან ხშირად გვიწვევენ სხვადასხვა ქვეყანაში. რა თქმა უნდა, ყველგან წასვლას ვერ ვახერხებთ, თუმცა რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალში მივიღეთ მონაწილეობა, ცხადია, პატრიარქის კურთხევით. ეს ჩვენთვის არის საშუალება, საქართველო და აქ არსებული უნიკალური მონასტერი და საგალობლები მთელ მსოფლიოს გავაცნოთ. მოსკოვში სამივე კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა. ჩვენ, როგორც საპატიო სტუმრებს, გრანპრი გადმოგვეცა, თუმცა, როდესაც კრემლში გამოსვლის საკითხი დადგა, უარი ვთქვი. ორგანიზატორებს 2.000 ბილეთი უკვე გაყიდული ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ პოზიცია არ შევიცვალეთ და მათ კონცერტი ერთ-ერთი ტაძრის დარბაზში გადაიტანეს.

## როდის დაუბრუნებენ მსმენელს კრის რის ჩაშლილი კონცერტის ბილეთის საფასურს?



თბილისში ცნობილ მომღერლის კრის რის კონცერტი უნდა გამართულიყო, თუმცა, კრის ნორმანის კონცერტის მსგავსად, ისიც ჩაიშალა.

მსმენელს, რომელმაც ბრიტანელი მუსიკოსის კონცერტზე დასასწრები ბილეთები შეიძინა, თანხა ამ დრომდე არ დაჰბრუნებია.

როგორც ცნობილი გახდა, მსმენელს ბილეთში გადახდილი ფული 15 მარტამდე დაუბრუნდება. ეს განცხადება ბილეთების ონლაინმაღაზია თიკეთ.ჯი-მ კრის რის ჩაშლილი კონცერტის ორგანიზატორთან, შპს „ნიჯ ჯგუფთან“ სამართლებრივი დავის საფუძველზე გააკეთა:

– როგორც თქვენთვის ცნობილია, თიკეთ.ჯი მაქსიმალურად ცდილობს საკუთარი მომხმარებლის ინტერესების დაცვასა და კონცერტის ორგანიზატორისგან მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხების დაბრუნებას. მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივად თანხების დაბრუნების ვალდებულება ორგანიზატორს ეკისრება, ჩვენი გუნდი აცნობიერებს თავის წილ პასუხისმგებლობას და მომხმარებლების სახელით საქმე აღძრა შესაბამის საგამოძიებო უწყებებში. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსით და ორგანიზატორებისგან თანხების ამოღება მოხდება მაქსიმუმ 15 მარტისთვის.

ეს განცხადება თიკეთ.ჯიმ დაზარალებულ მომხმარებლებს გადაუგზავნა.

კრის რის კონცერტი თბილისში 30 დეკემბერს სპორტის სასახლეში უნდა გამართულიყო. კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე ლეგენდარულ მუსიკოსს ოქსფორდში სცენაზე გულის შეტევა დაემართა, რის გამოც კლინიკაში მოხვდა, დეკემბრის ბოლოს მუსიკოსის საქართველოში დაგეგმილი ვიზიტი კი ჩაიშალა. საქართველოს გარდა, კრის რის კონცერტები დიდი ბრიტანეთის ორ ქალაქშიც გადაიდო.

## თემურ თათარაშვილს ვარსკვლავს გაუხსნიან



მომღერალ თემურ თათარაშვილს 16 მარტს ვარსკვლავს გაუხსნიან. ვარსკვლავის გახსნამდე თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში მომღერლის შემოქმედებითი საღამო გაიმართება, რომელიც თემურ თათარაშვილის სასცენო მოღვაწეობის 35 წლისთავს მიეძღვნება.

კონცერტში მომღერალთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ქართული ესტრადის ცნობილი მომღერლები, რომლებიც დუეტებს შეასრულებენ.

თემურ თათარაშვილი წლების წინ საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა. როგორც მაშინ თავად განაცხადა, ამის მიზეზი დაუსრულებელი მუქარები გახდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ თემურ თათარაშვილს ემუქრებოდნენ, რის გამოც მომღერალი იძულებული გახდა, საქართველო დაეტოვებინა და რუსეთის მოქალაქეობა მიეღო. ამ გადაწყვეტილების გამო ის საქართველოში მკაცრად გააკრიტიკეს, თუმცა, როგორც მომღერალმა განმარტა, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

რამდენიმეწლიანი განშორების შემდეგ თემურ თათარაშვილი საქართველოში დაბრუნდა, კონცერტები განაახლა და 16 მარტს უკვე სცენაზე მოღვაწეობის 35 წლის იუბილესაც აღნიშნავს. საღამოს დასრულების შემდეგ კულტურის პალატა თემურ თათარაშვილის ვარსკვლავს საზეიმო ვითარებაში გახსნის.

## 25 წლის შემდეგ გოდერძი ჩოხელის დაკარგული კინომასალა იპოვეს




მწერლისა და რეჟისორის გოდერძი ჩოხელის დაკარგული კინომასალა „მგელი“ 25 წლის შემდეგ იპოვეს.

ინფორმაცია რევაზ მახათაძემ გაავრცელა. აქამდე უცნობი ნეგატივები სწორედ რევაზ მახათაძემ აღმოაჩინა.

რა თქმა უნდა, სიახლის შესახებ აცნობეს გოდერძი ჩოხელის ოჯახსაც. ინტერნეტში გავრცელდა ფოტო, სადაც ლუკა ჩოხელია აღბეჭდილი მამამისის ახლადაღმოჩენილ მასალასთან ერთად.

## ნიკოლოზ ვაჩეიშვილი: „ვისაც სუხიშვილების ქორეოგრაფია გეუცხოვებათ, ნახეთ ბეთანიის ფრესკა „დავითის როკვა“



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი სუხიშვილების ახალი ქორეოგრაფიის თემაზე დაწყებულ დაუსრულებელ კამათს ეხმაურება და საზოგადოებას ბეთანიის სამხრეთი კედლის ზედა რეგისტრის ფრესკის „დავითის როკვის“ ნახვას ურჩევს:

– ვისაც სუხიშვილების ქორეოგრაფია გეუცხოებათ, გირჩევთ, ნახოთ ბეთანიის სამხრეთი კედლის ზედა რეგისტრის ფრესკა: დავითის როკვა. მე-13 საუკუნის ფიგურა და, მგონი, მისი სამოსიც ძალიან ჰგავს დღეს „ახალშექმნილ“ მიმოხვრას.

ნუ გაგვიკვირდება, რაც ზოგჯერ „ახალი“ და ამიტომაც „მიუღებელი“ გვგონია, ძველადაც ყოფილა და ეს მუდმივი „ძველახლობა“ ხშირად ტრადიციაც არის.

ამიტომაც მომწონს სუხიშვილები, ძერწავენ ახალს, ზოგჯერ ძველი მასალით. ძალიანაც კარგი.

ფოტოზე ბეთანია, სამხრეთის სარკმლებსშორისი მონაკვეთი. დავითის ცეკვა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პროგრამა

**ორშაბათი 29 იანვარი**

**07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ან/ფ "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 01.50** "პირადი ექიმი" **11.00** დოკ/ფ "რომაული ელეგანტურობა" **12.15** "კვირის ინტერვიუ" **13.00** დოკ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" **13.25, 20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **14.10** დოკ/ფ "ავტოდახმარება" **15.30,** დოკ/ფ **16.30,** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **22.15** მხ/ფ "**თანაკლასელები 2**" (ა.სენდლერი) **00.00** მხ/ფ "**რეიჩელი თხოვდება**" (ე.ჰეტეუეი) **02.50** მხ/ფ "**დღის ბოლოს**" (ე.ჰოპკინსი)

**06.30, 18.50, 19.03** სერ. "**დასაწყისი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00,** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ფავორიტი**" **7** სერ. **23.30** სერ. "**ღირსების საქმე**" **1** სერ. **01.00** მხ/ფ "**ერთადერთი გზა**" **03.00** მხ/ფ "**მეცამეტე რაიონი 2**" **05.00** მხ/ფ "**მეხანძრე**"

**06.00, 18.50** სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.03** სერ. "**დიდი ოჯახი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**ოთხი ისტორია**" **22.00** ჩემი სამზარეულოს წესები **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.30** გრემი (ჩანაწერი 90წთ.) **00.00, 01.00, 02.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

**tv პირველი** **7.50** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00,** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **14.00, 16.00** ლევან ჩხაიძის დღის ამბები **15.00, 22.45, 7.00** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00,** მხ/ფ **20.00** ხალხის პოლიტიკა **23.10** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

**GDS** **08.00** ან/ფ "ვარსკვლავური ომები" **09.00** სერ. "**ერთხელ ზღაპარში-2**" **12.00, 21.00** სერ. "**ელ პრინსიპე**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 8**" **17.00** სერ. "**ქუანტიკო-2**" **19.00** სერ. "**ჯაშუში 3**" **22.30** სერ. "**ვიკინგები**" **1-2** **00.30** მხ/ფ "**ვალკირია**" **02.20** მხ/ფ "**მატრიცა**" **04.25** მხ/ფ "**მატრიცა - გადატვირთვა**" **06.30** მხ/ფ "**მატრიცა - რევოლუცია**"

**იბერია** **08.00** ანანდა **08.10** ანიმაცია **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40** ახალი ამბები **11.20** მე რომ ვიყო **11.30** ბიზნესკოდი **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიათან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.00** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.00** ფაბრიკა **18.00** ანონსი **18.30** სერ. **19.30** მე რომ ვიყო **20.00** თავისუფალი სივრცე **21.00** სერ. "**პირადი საქმე**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** პანორამა **00.00** სერ. "**ვალანდერი**"

**06.10** დ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ "**ყვარყვარე**" **07.40** ეთნოგრაფია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** საგალობელი **08.30** დ/ფ "სალომე უჯარმელი და პეროჟავნა სივნიელი" **09.15** მულტფილმი "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" **10.40** ეთნოგრაფიული ჩანახატი **11.00** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ**" **13.15** კონცერტი - ნატო გელაშვილი **15.10** სპექტაკლი "**გზაჯვარედინზე**" **18.15** მოკ/ფ "**ალავერდობა**" **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.25** კონცერტი - თელავის ფესტივალის გახსნა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.30** მოკ/ფ "**მჭედელი**" **22.20** ფოტოგალერეა **22.25** დ/ფ "მარადიული აწმყო" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "რაინდები" **00.30** მხ/ფ "**ოქროს ობობა**" I-II სერ. **02.50** კონცერტი - სტეფანე გრაპერი **04.15** მხ/ფ "**დანტეს პიკი**"

**მაესტრო** **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


29 იანვრისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4578

ევრო — 3.0636

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5021

100 რუსული რუბლი — 4.4037

**ამინდის პროგნოზი 29 იანვრისთვის**





## 8 თებერვლიდან

**საქართველოს მეფეთა ისტორია**




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**


## ნისანმა სასტუმრო უპილოტო ფლოსტებით აღჭურვა

კომპანია ნისანმა ავტონომიური მართვის მიღწევები იაპონური სასტუმროს უპილოტო ფლოსტებით, ბალიშებითა და მაგიდებით აღსაჭურვად გამოიყენა. ამისთვის გამოიყენა სისტემა, რომელიც ავტომობილების სადგომზე ავტომატურად გასაჩერებლად გამოიყენება.



პირველად ავტომატური გაჩერების სისტემა ახალი თაობის ელექტროკარ Nissan Leaf-ზე იქნა წარმოდგენილი. ულტრაბგერითი მოწყობილობებისა და კამერების დახმარებით ის განსაზღვრავს გარშემომყოფ ობიექტებს და დამოუკიდებლად აყენებს მანქანას.

ანალოგიურად მუშაობს უპილოტო საგნებიც სასტუმრო ნისანში. თუ ისინი არ გამოიყენება, სპეციალურ ღილაკზე დაჭერის შემდეგ ფლოსტები ან ბალიშები დამოუკიდებლად დაუბრუნდებიან ადრე მითითებულ ადგილს.

## პარიზი წყალდიდობას გამოქცეული ვირთხებით გაივსო



ვირთხები, რომლებიც პარიზში წყალდიდობას გაექცნენ, სულ უფრო ხშირად ხვდებიან თვალში საფრანგეთის დედაქალაქის მცხოვრებლებს.

ნაპირებიდან გადმოსულმა მდინარე სენამ ვირთხების ბუნაგები დატბორა და მღრღნელები იძულებული გახადა, ახალი თავშესაფარი მოეძებნათ.

– ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მათმა რაოდენობამ მოიმატა, უბრალოდ, ახლა უფრო ხშირად გვხვდებიან თვალში, – განმარტა ვირთხების ექსპერტმა პიერ ფალგირაკმა. მან იქვე დაამატა, რომ სტიქიური უბედურება მღრღნელების რაოდენობის დროებით შემცირებას გამოიწვევს. წყალდიდობის შემდეგ კი მათი პოპულაცია სწრაფად აღდგება და ადრინდელ დონეს მიაღწევს.

პარიზის დასუფთავების სამსახურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ვიდეოზე გადაიღო ნაგვის კონტეინერი, რომელიც ვირთხებით იყო სავსე. მისი თქმით, დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები რეგულარულად ხდებიან ვირთხების მხრიდან თავდასხმის ობიექტნი.

## ამერიკულ გზატკეცილზე ფულები მიმოიფანტა

ამერიკის ილინოისის შტატში ავტომობილი, რომელსაც სათამაშო ავტომატებისთვის ფული გადაჰქონდა, ავარიაში მოყვა, რის შემდეგაც ფულები გზაზე მიმოიფანტა.

მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა, რომლითაც ფული გადაჰქონდათ, მანქანის მართვას თავი ვერ გაართვა და წინაღობას



შეეჯახა, რის შემდეგაც პიკაპს დაეჯახა. მესამე ავტომობილი, რომელიც ცდილობდა, შეჯახებისთვის თავი აერიდებინა, ასევე შეასკდა წინაღობას. მისმა მძღოლმა უმნიშვნელო დაზიანებები მიიღო და საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

ავარიის შედეგად გზის სავალ ნაწილზე ხუთ, ათ და ოცდოლარიანი კუპიურები მიმოიფანტა. გზის მუშებს ერთი საათი დასჭირდათ იმისთვის, რათა ფული მოეგროვებინათ. მთელი ამ დროის განმავლობაში გზა მანქანების მოძრაობისთვის დაკეტილი იყო. უცნობი დარჩა, თუ რა თანხის მოგროვება მოხერხდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



მეგობარი მეგობარს ეკითხება:

– რას ფიქრობ, ბოლოსდაბოლოს, ჩემ ცხოვრებაში მძიმე პერიოდი დასრულდება?

– რა თქმა უნდა, ცხოვრება ხომ ბოლოსდაბოლოს დასრულდება.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ბიჭო, გივი ცოლის მოყვანის შემდეგ ენაბლუ რატომ გახდა?

– მის სიდედრს სამი ტყუპისცალი ჰყოლია და როგორც კი ყველანი ერთად დაინახა, ენა დაება.

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, მამიკო, გველები ლაპარაკობენ?

კაცმა სიდედრს გასძახა:

– რას გაჩუმებულხარ? ვერ ხედავ, შენ შვილიშვილს აინტერესებს.

•••

მოხუცი მამაკაცი ახალგაზრდა გოგონაზე დაქორწინდა. ცხრა თვის შემდეგ მეუღლე სამშობიაროში მიიყვანა. ექიმი ეკითხება:

– თქვენ მშობელი ხართ?

– არა, მეუღლე.

– ყოჩაღ, ბერიკაცო!

– აბა რა, ძრავა ყოველთვის გამართულ მდგომარეობაში უნდა გქონდეს.

გავიდა კიდევ ერთი წელი და კაცმა ისევ მიიყვანა მეუღლე სამშობიაროში. გაოცებული ექიმი მამაკაცს ეუბნება:

– ისევ თქვენ ხართ? ყოჩაღ, მაგარი ხართ.

– აბა რა, ძრავა ყოველთვის გამართულ მდგომარეობაში უნდა გქონდეს, – ისევ უპასუხა მოხუცმა.

კიდევ ერთი წლის შემდეგ ისევ მიადგა სამშობიაროს მეუღლესთან ერთად.

– თქვენ, მართლაც მაგარი ყოფილხართ, – ეუბნება გაოცებული ექიმი.

– აბა რა, ძრავა ყოველთვის გამართულ მდგომარეობაში უნდა გქონდეს.

მშობიარობის შემდეგ ექიმი გამოდის და მოხუცს ეუბნება:

– ძია კაცო, როგორც ჩანს, თქვენს ძრავას ზეთის გამოცვლა სჭირდება.

– რა ზეთის გამოცვლა?

– ზანგი დაიბადა, ზანგი!

•••

ქალმა თუთიყუში იყიდა, სახლში მიიყვანა და ეკითხება:

– აბა, სულელო, ლაპარაკი იცი?

– მე კი შემიძლია, მაგრამ შე უტვინო, შენ ფრენა იცი?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 16 იანვრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი



**„მგლის ბილიკი“**

ქართული დეტექტივი ტომი 1

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 19 იანვრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი



**შავი ვარდი**

ქართული დეტექტივი ტომი 2

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 23 იანვრიდან

იორამ ჩადუნელი



**საზღაური**

ქართული დეტექტივი ტომი 3

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 26 იანვრიდან

რომან გვენცაძე



**საბედისწერო გასროლა**

ქართული დეტექტივი, ტომი 4

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 30 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა



**ქურდები და არიფები**

ქართული დეტექტივი, ტომი 5

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


# ლევან გორგაძე იმპერატორის თასის მფლობელია

პირველად სუმოს ისტორიაში ტურნირის გამარჯვებული ქართველი გახდა – ტოჩინოშინის შიკონათი მოასპარეზე ლევან გორგაძე იმპერატორის თასის მფლობელი გახდა.

საქართველოში სუმო არცთუ პოპულარული სპორტია, იაპონიაში კი, თითქმის რელიგიის დონეზე ჰყავთ აყვანილი. ტოჩინოშინი უკვე მთელმა იაპონიამ იცის, მეტიც, იაპონელებმა საჩემპიონო შეხვედრა ლევანის ოჯახიდან, მცხეთიდან ტელევიზიით გადასცეს.

ჩვენებური კონკურენტთათვის მიუწვდომელი ტურნირის დასულებამდე ერთი დღით ადრე გახდა, როდესაც დასავლეთის მე-3 მაეგაშირას წოდების გაგრძელება მე-10 გვერდზე



## კროსვორდი




**თარაზულად:** 4. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 5. მოკლელულიანი მსუბუქი თოფი; 6. ... როტარუ; 7. ეგვიპტელთა მცენარეულობის, მთვარისა და ნილოსის ღმერთი; 8. ნოტის ნახევარი ტონით დასადაბლებელი ნიშანი; 10. ოცკაპიკიანი (ძვ.); 13. მამაკაცის მოკლე, უსაყელო და უსახელოებო სამოსი; 15. ფსიქიკური აშლილობის ფორმა; 16. მშობელი; 17. სასწორის თეფში; 20. ნიგერიის დედაქალაქი; 21. ტკბილი, ბლანტი დესერტი; 22. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 23. წონის სააფთიაქო ერთეული (ძვ.).

**შვეულად:** 1. კოსმეტიკის სახეობა; 2. მუსიკალური საკრავის აწყობის დროს ხმარებული ხელსაწყო; 3. კრედიტის გამცემი დაწესებულება ნივთიერი გირაოს სანაცვლოდ; 4. პროტესტანტების მღვდელი; 5. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 9. ერთგვარი საველე სიმაგრე ომის დროს (ძვ.); 11. სკივრი; 12. მეკობრე; 14. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 18. კათოლიკეთა მღვდელი; 19. ქართული ტელეარხი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*